საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 5 ოქტომბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი ... მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 226 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 226

მუდამ მწუხარე მშობლები ნოე და ინა, და ასმათი, ბებია ქრისტინე ჟორდანიები და აღმზრდელი ნინა მამულაიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ხუთ ოქტომბერს, ქალ. ლანჩხუთში დანიშნულია ნახევარი წლის თავი უდროვოთ დაკარგულის საყვარელი ვაჟის

**ანდრეიკა ჟორდანიასი**

(ნ. 2—2)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ელისაბედ დავითის ასული, შვილები: იაკობი, შაქრო, გიორგი და სოფიო გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 1 ოქტომბერს, მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

**ხეჩო არუთინოვის ძე ხოჯაევი**

გამოსვენება მოხდება თავის ბინიდან მე 11 უბანი როსტოვის ქუჩა № 4 კვირას, 5 ოქტომბერს, დილის 10 საათზე ვერის ეკლესიაში, დასაფლავება იქვე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე.

(2599—2—2)

გულდათუთქულნი შვილები: სარრა და ავთანდილ და სიძე ილია სეფერთელაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, მათთვის უძვირფასეს და საყვარელ მამის

**ისაკი დავითის ძე მერაბაშვილის**

შორეულ უცხოეთში უდროოდ გარდაცვალებას. წირვა და პანაშვიდის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2604—3—1)

დ. ჩხარის სცენის მოყვარეები და მეგობრები აუწყებენ ამხანაგთა და ნაცნობთ დაუვიწყარი

**ლეუჩკი კორტის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალულ იქმნა დ. ჩხარის წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე 30 სექტემბერს. დ. ჩხარის სცენის მოყვარეები და ამხანაგები. (2600—1—1)

ღრმად დამწუხრებული ქვრივი ჰუპი კვაჭანტირაძისა და ძმა მასიკო იესეს ძე კვაჭანტირაძე მეუღლით და შვილებით, რძალი კესარია ლომინის ასული კვაჭანტირაძისა შვილებით და რძლებით, და ქრისტინე იესეს ასული ხავთასისა შვილებით და რძლებით, ძმის შვილი სოფიო თავდგირიძისა და სიძე მიხაკო თავდგირიძე მწუხარებით აცნობებენ ნათესავთ და მეგობრებთ

**ივანე იესეს ძ. ს კვაჭანტირაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ოზურგეთში, მელექედურის ეკლესიის გალავანში კვირას 5 ოქტომბერს დილის ათ საათზე. გამოასვენებენ ლიხაურის ქუჩიდან. (2607—1—1)

გულ-მოკლული მშობლები მღვდელი ივანე, დედა ბაბნე, ბებია დესპინე, ძმები: აკაკი და გრიგოლ, დები: ნინა და ქსენია, სიძე შალვა ყიფშიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი

**მარიამ ივანეს ასული გოგიჩაიშვილის**

უდროოდ არდაცვალება. გამოსვენებას ქალ. თფილისიდან (ანდრეევის შესახვევი № 4) ქალ. ლანჩხუთში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული (2611—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: ვარლამ და ბორია დავითის ძე ძნელაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ რომ ხანგრძლ. ავადმყოფობის შემდეგ 3 ოქტომბერს გარდაიცვალა მათი საყვარელი ძმა

**ქრისტეფორე დავითის ძე ძნელაძე**

დაკრძალვის დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

(2606—1—1)

**დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ**

**ვ. რუხაძის ლექსები**

**„ცხოვრების ყვავილები“**

წიგნი მესამე—გამოცემა კანტორა „განათლებისა“. ფასი 25 მანეთი. გასაყიდათ დაურიგდა „განათლების აგენტებს. (6—5)

## საქართველო და მთიელთა ტრაგედია

მთიელთა აჯანყება უმაღლეს წერტილს აღწევს. მთიელთა რესპუბლიკის მთელი სამხრეთი ნაწილი გაიწმინდა დენიკინელთა რაზმებისაგან. აჯანყება ჩრდილოეთ ნაწილსაც ედება. მაგრამ ეს აჯანყება შემოსეულ მტრის წინააღმდეგ მთიელებს ძვირათ უჯდებათ. მოძალადენი არც ისე ადვილათ თანხმდებიან მტაცებლურ მოქმედების შეჩერებაზე. მთიელთა მიერ აღებული დერბენტი თითქმის სულ გაუნადგურებია მოხალისეთა ესკადრას კასპიის ზღვაზე. გენ. ერდელი ხედავს, რომ მისი ძალები არ კმარა მთიელთა დასამორჩილებლად, მაგრამ იგი იმას კი არა ფიქრობს, რომ უნდა ხელი აიღოს ძალადობაზე და თავი დაანებოს მთიელებს: იგი, პირიქით, დენიკინის უთვლის, რომ მას სჭირდება ახალი დამხმარე რაზმები; ეჭვი არ არის, გენ. ერდელი ამ რაზმებს მიიღებს, დენიკინელ-მთიელთა ომი კიდევ უფრო გამწვავდება და დენიკინელები მოიწადინებენ სისხლში ჩაახრჩონ მთიელთა მისწრაფება თავისუფლებისაკენ.

საქართველოს რესპუბლიკა, რა თქმა უნდა, გულცივად და გულხელდაკრებილი ვერ უყურებს მთიელთა ტრაგედიას. მან ერთხელ უკვე აღიმაღლა ხმა იმ დროს, როდესაც დენიკინელები პირველად შეესიენ მთიელთა ტერიტორიას. დღეს, იმ საფრთხის გამო, რომელშიაც ჩავარდნილია მთიელ ხალხის სიცოცხლე, საქართველოს რესპუბლიკა ერთხელ კიდევ უგზავნის დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს თავის საპროტესტო ნოტას იმ სისხლის ღვრის გამო, რომელსაც ახდენენ დენიკინელები მთაში

მეტათ საგულისხმოა ის დედა-აზრი, რომელიც გატარებულია ახალ ნოტაში. კავკასიის რესპუბლიკათა ინტერესების სოლიდარობა—აი ის ჭეშმარიტება, რომელიც მტკიცეთ შეგნებული აქვს საქართველოს მთავრობას. ნოტაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ის, რაც ხდება მთაში, პირდაპირ ეხება საქართველოს, რადგან მთიელთა რესპუბლიკა მჭიდროთ გადაბმულია საქართველოს რესპუბლიკასთან. მოხალისეთა მოქმედება მთაშიც შექმნის ისეთსავე საშინელს არევ-დარევას და ანარქიას, როგორიც მან შექმნა ყველგან, სადაც კი შესდგა ფეხი. და ეს არევ-დარევა და ანარქია მეზობელ სახელმწიფოში არ შეიძლება დიდ საფრთხედ არ მოევლინოს საქართველოს. „საქართველოს მთავრობა, ნათქვამია ნოტაში, შიშით ადევნებს თვალყურს ამ ამბებს და არ შეუძლიან გულცივად შეხედოს მას, რადგან მეზობლად გაჩენილი ანარქია სერიოზული საფრთხე შეიქნება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ წყობილებისა და საზოგადოებრივ სიმშვიდისათვის“. მარტო საქართველოსათვის კი არ წარმოადგენს საფრთხეს დენიკინელთა თარეში მთაში, ნათქვამია ნოტაში, არამედ ყველა „მეზობელ სახელმწიფოებისათვისაც“.

ამნაირად ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკები ცვივიან საფრთხეში დენიკინელთა მტარვალურ მოქმედების მეოხებით. ნოტაში ამასთან ერთად აღნიშნულია ის ერთად ერთი გზა, რომლითაც უნდა გადაწყდეს მთიელთა საკითხი. ეს ისევ ის გზაა, რომელიც შემუშავებული აქვს დემოკრატიულ აზროვნებას, მაგრამ რომლის პრაქტიკაში გატარება ჯერ ვერსად მოხერხებულა: „მოღლვარების გამომწვევი საკითხები, ნათქვამია ნოტაში, უნდა გადაწყდეს არა იარაღის საშუალებით, არამედ ხალხთა მიერ თავის ნების-ყოფის თავისუფლად გამოთქმით და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელებით.“

ამნაირად, მთიელთა ყველა მეზობლებმა აღიმაღლეს ხმა დენიკინელთა ძალადობის წინააღმდეგ; მათი მოქმედება მთაში ყველგან ერთნაირს აღშფოთებას იწვევს; მთიელებს ესარჩლებიან ყველა მეზობელი ერები, როგორც ქართველები, ისე ადერბეიჯანის მუსულმანები, ისე ყუბანის რუსები. მთელი კავკასიის ზნეობრივი გრძნობა შეურაცყოფილია იმ ბარბაროსობით, რომელსაც დენიკინელები მთაში აწარმოებენ. მთელი კავკასია ერთ სურვილშია გაერთიანებული; როგორც სამხრეთი, ისე ჩრდილოეთი კავკასია ერთ მოთხოვნას უყენებს მათ, ვის ხელშიც არის დღეს ქვეყნის ბედი—დაიხსენით მთიელები დენიკინის ცეცხლისა და მახვილისაგან.

## გზა აბნეული

ჩვენ მივიღეთ ბოლშევიკების „განცხადება“, რომელსაც კომუნისტების საოლქო კომიტეტი აწერს ხელს.

ეს პატარა განცხადება, რომელსაც ქვევით ვბეჭდავთ, ერთიანათ ყალბ საფუძველზეა აგებული, მოგონილ და მოჭორილ საფუძველზე.

ბოლშევიკები აცხადებენ, თითქოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარულად გამოეცეს განკარგულება, რომ დატუსაღებული აქტიური კომუნისტები საპყრობილეში მიყვანამდე გზაშივე მოკლან და გაქცევა მოიმიზეზონ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მთავრობას არ შეეძლო, და არც გამოუცია ასეთი რამ არც ყოფილა დღევანდლამდე მაგალითი ასეთი ფაქტისა არამც თუ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეების, არამედ თვით უბრალო სისხლის დამნაშავეთა წინააღმდეგაც.

მთავრობა ყოველთვის ცდილობდა ყველა ბოროტმოქმედნი სასამართლოს თვის გადაეცა. ჩვენი რესპუბლიკა ხომ საბჭოთა რუსეთი არ არის, რომ ყოველ დამნაშავეს პირველ სვეტთანავე აუხვიონ თვალები და ტყვიით განგმირონ!

საბრალო ბოლშევიკები! მათ ყველგან ის ელანდებათ, რასაც თვითონ ასეთი სიუხვით სჩადიან საბჭოთა რუსეთის მთელ სივრცეზე

მაგრამ, ჩვენს დემოკრატიას ესეთი გზა არ შეფერის. მას თავის საკუთარი მეთოდები აქვს ბრძოლისა.

ბოლშევიკები აცხადებენ, თითქოს სასტიკი ფარული განკარგულება კომუნისტების გზაზე დახოცვისა გაცემული იყოს გენ. ბარათოვზე თავდასხმის გამო.

უნდა აღვიაროთ, ამ უაზრო და პროვოკაციულმა გამოსვლამ ბოლშევიკების მხრივ, დიდათ ააღელვა ჩვენი დემოკრატია. როცა მას დაერთო გზების აყრა, სადაც ბოროტმოქმედნი აგრეთვე კომუნისტობას იჩემებდენ, ჩვენ ბუნებრივათ დაგვებადა აზრი, რომ ბოლშევიკებმა, როგორც ერთხელ 1918 წ. ბაქოში, ისე აქაც მიიღეს სამოქმედო პროგრამათ ტერორისტული აქტები ე. ი. შეუდგენ ანარქიულ ტაქტიკას პირწმინდათ წარმოებას. თვით მათი განცხადება მოწმობს, რომ ისინი „თავდაცვის მიზნით შესაფერ პასუხს გასცემენ“ მათი ამხანაგების მოკვლის გამო.

გულახდილათ ვაცხადებთ, ჩვენ არ მოგვიკლავს ისინი, ვინც არა ერთი აჯანყება მოგვიწყო და ვინც დღეს ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა. მაშასადამე მომიზეზება იმის, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ მოკვლა ბოლშევიკებისა—სრული უაზრობაა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია უსასტიკესათ არ დავსაჯოთ ის პირები, რომელნიც თავდასხმებს აწყობენ, ექსპროპრიატორობენ, რკინის გზებს ანგრევენ, მატარებლის მგზავრთ ასახიჩრებენ. ასეთ საზიზღარ ბოროტმოქმედთ ჩვენ ჩვენი კანონების მთელი სიმკაცრით დავსჯით, ხოლო პოლიტიკურ ჯგუფებს, რომელნიც ასეთ გზას დაადგებიან, ვებრძვით სანამ სრულიად არ აღმოვფხვრით ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილიდან. დემოკრატიულ სახელმწიფოს არ სჩვევია შურისძიება, მაგრამ თავდაცვა კი მისი წმინდა მოვალეობაა. ამიტომ ბოლშევიკებს, რომელიც სჩანს სრულიად გამოსცლია ფეხ ქვეშ ნიადაგი, რომელნიც საზოგადოებრივ წრეებში სრულიად მოკლებული არიან ყოველივე ნიადაგს, ჩვენ ვეუბნებით: ხელი აიღეთ ასეთ ანარქისტულ მეთოდებზე; თავი დაანებეთ უძლურ და უგუნურ მუქარას; თუ საბჭოთა რუსეთი, რომელიც გინდათ აქ გადმოიტანოთ, ასე მიმზიდველი თვისებისაა, კეთილ ინებეთ მიბრძანდით სოვდეპიაში. საქართველოს დემოკრატიას არც სურვილი აქვს და არც ხალისი კომუნისტებს მიბაძოს.

## პრესა

„ჰარაჯი“ (№ 8) ეხება სომეხ-ქართველთა დამოკიდებულებას და სწერს შემდეგს:

„ბოლო დროებში ქართულ და სომხურ წრეებში ეჩჩნევა განწყობილობის გამორკვეული ცვლილება, რომელიც თვალში გვეცემა არა თუ მარტო ორი სახელმწიფოს ოფიციალურ დამოკიდებულებებში, არამედ საზოგადოებაში და პრესაშიც. ორივე მხრივ ეპყრობიან უფრო კეთილ ნდობით ერთი მეორეს, პრესაც ლაპარაკობს თავშეკავებულად და ზრდილი კილოთი მიუთითებს ერთმანეთის გაგონებაზე და ერთმანეთის დათმობის საჭიროებაზე

„რასაკვირველია, საზოგადოებრივი აზრის ამისთანა მიმართულების მიღებას აქვს თავისი სერიოზული საბაბები, მაგრამ, რითაც არ უნდა აიხსნებოდეს, ეს მოვლენა ძალიან სასიხარულოა და ყურადღების ღირსი. ეჭვს გარეშეა, რომ სომეხ-ქართველთა უთანხმოებანი, რომლებიც დამყარებული არიან, უმთავრესად, სასაზღვრო დავაზე, უაღრესად მავნებელი არიან ორივე მხარისთვის. მართალია ისიც, რომ ამ უთანხმოების გაძლიერებაში უდიდეს როლს თამაშობენ ორივე მხარის ხელმძღვანელების სუბიექტიური განწყობილებანი. უკეთუ აქამდე არ შეიძლებოდა საერთო ენის მოძებნა ორ რესპუბლიკას შორის, ამის უმთავრესი საბაბთაგანი ის შეურიგებელი პოზიციაა, რომელსაც ქართული მმართველი წრეები გვიჩვენებენ ახალქალაქის და ბორჩალოს საზღვრების საკითხში, რომელი საკითხიც არცერთ შემთხვევაში საქართველოს დამოუკიდებლობის დამაბრკოლებელი საბაბთაგანი არ არის, და შეუპოვრობა ამ საკითხში სუბიექტიური დაფასების შედეგია.

„ასეა თუ ისე, განწყობილების ცვლილება დღეს ფაქტია, და საჭიროა ამ ფაქტს მიეცეს ორივე მხარისთვის მისაღები და ხელსაყრელი სვლა. საჭიროა განზოგადება და გამაგრება საზოგადოების შეგნებაში იმ დარწმუნებისა, რომ მეზობელ სახელმწიფოთა არა გულწრფელ სოლიდარობით არ შეიძლება მშვიდობიანობა დამყარდეს არც საქართველოში და არც სომხეთში და უკეთუ ეს უდავო გახდება ორივე მხარისათვის, მაშინ ბოლო მოეღება იმ ყალბ პოლიტიკას, რომელიც აქამდე იხმარება, და მოიპოვება საშუალო ხაზი, ერთი კომპრომისი, ორივე მხარისათვის მისაღები.

„საქართველოს ხელმძღვანელნი, უეჭველად დაინახამდნენ, რომ სომხეთს სომეხ-ქართველთა დავაში თანდათანობით გაყავს ერთი შემრიგებელი ხაზი და წასულა მთელ რიგ დათმობებზე. ეს დათმობები მომხდარან არა თუ მომენტის ზეგავლენის ქვეშ, არამედ წმინდა შეგნებით, რომ ჩვენ ხელმძღვანელ წრეებს კარგი შეხედულება აქვთ ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ღირსებაზე. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა დათმობას აქვს თავისი საზღვრები და ამ საზღვრების ფეხის ქვეშ გათელვა ხალხს და იმ მასსებს ეჩვენება მუხანათობასთან თანასწორათ, და არც ერთ სახელმწიფოს რამოდენათაც დამთმობი არ იყოს, ერთი დღეც არ შეიძლიან ძალა-უფლობის მოთავეთ დარჩეს, უკეთუ ამ საზღვარს გადავა.

„სომეხ ქართველთა დავა უნდა გადაწყდეს მშვიდობიან საშუალებით ურთიერთ შეთანხმებით. ყველა ნაბიჯს გადამდგარს ამ მიმართულებით ჩვენ მივესალმებით და წავაქეზებთ. მაგრამ საჭიროდა ვთვლით მოვუმატოთ, რომ არც ერთი დავა არ შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ერთი მხრის ანგარიშზე. ამისთანა გადაჭრა თვით თავიდანვე განწირულია დამარცხებაზე. ეს გარემოება უნდა შეიგნონ საქართველოს ხელმძღვანელებმა, და თუ ამას შეიგნებენ რასაკვირველია, მაშინ ვერ შესძლებენ აქედან გამომდინარე დასკვნებიც არ გამოიტანონ“.

საქართველოს ხელმძღვანელებს დიდი ხანია შეგნებული აქვს ის საანბანო ჭეშმარიტება, რომელზედაც მხოლოდ დღეს გველაპარაკება „ჰარაჯი“: ჩვენ სულ იმას ვუჩიჩინებთ სომხეთის მესვეურთ, რომ სადავო საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ ერთმანეთის დათმობით შეიძლება მაგრამ აქამდის ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ შევაგნებინეთ. ჩვენ სულ იმას ვუქადაგებდით, რომ სადავო საკითხები უნდა გადავწყვიტოთ მოლაპარაკების, შეთანხმების, არბიტრაჟის და სხვა კულტურულ საშუალებებით,—სომხეთის მესვეურთ კი იარაღს მიანდეს მათი გადაწყვეტა. ჩვენ სულ იმას გავიძახოდით ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა მოვაგვაროთ უცხო ძალების ჩაურევლად,—სომხეთის მესვეურნი კი სულ უცხოელთა ჩარევაზე ამყარებდნენ თავის იმედებს. დაშნაკელთა პარტიული ორგანოები მუდამ შხამს და ბალღამს ანთხევდნენ საქართველოს წინააღმდეგ, დაუღალავად ავრცელებდნენ უკადრის ჭორებს იმ მიზნით, რომ საქართველოს საქმეები გაეფუჭებინათ დიდ სახელმწიფოთა წინაშე. თვით „ჰარაჯმაც“ ხომ იმით დაიწყო თავისი მოღვაწეობა, რომ თავი მოუყარა ყველა იმ სიცრუეს, რომელიც კი ოდესმე შეუთხზავთ დაშნაკცაკანების ორგანოებს საქართველოს წინააღმდეგ. დღეს „ჰარაჯი“ ლაპარაკობს საქართველოს და სომხეთის ხელმძღვანელთა შორის ურთიერთობის გაუკეთესებაზე. თუ ამ ლაპარაკს გულწრფელი სურვილი უდევს საფუძვლად, ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ დაშნაკელები პირველად არ გამოსთქვამენ ამნაირ სურვილს და ჩვენც პირველად არ ვხატავთ ამის გამო ჩვენს თანაგრძნობას.

## დამფუძნებელი კრება

**3 ოქტომბრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ლომთათიძე.

**გ. ნათაძის** მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი—სახელმწიფო მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატებისა და სხვა გასამრჯელოს მიცემის გამო დაწესებული ერთდროული გადასახადის გაუქმების დეკრეტისა.

**ივ. ჰავჰანიძე** მოახსენებს კრებას კანონ პროექტს საბაჟოებში ზედმეტი მუშაობისთვის გასამრჯელოს დაწესების შესახებ.

**პ. ბერიშვილი** სოც.-დემ. ფრაქციის სახელით წინადადება შეაქვს ეს კანონპროექტი გადაეცეს ხელახლა გადასამუშავებლად იურიდიულ და შრომის კომისიებს.

**ერ.-დემოკრატების შეკითხვა.**

მსჯელობა გრძელდება ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვის შესახებ—ნიკოლოზ ჩარკვიანის დაპატიმრების გამო.

**ი. მაჭავარიანი** (ნ. დ.) აღნიშნავს, რომ მოქალაქე ნიკოლოზ ჩარკვიანის დაჭერა გვარდიის მიერ, შინაგან საქმეთა სამინისტროს უორდეროთ, არის ერთნაირი თვითნებობა. გვარდიის სახელი წმინდაა და შარავანდედით მოსილი. მას აქვს თავისი უფლებები და აქედან გამომდინარე მოვალეობანიც. მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმეებში ჩარევა, მას სახელს უტეხს. ასეთ ჩარევას სახელმწიფოებრივ საქმეებში შეაქვს არევ-დარევა. ჩარკვიანი დაჭერილი იყო სრულიად უსამართლოდ. მიუხედავად ამისა, ის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით 2 აპრილიდან ციხეში ზის. მისი დაჭერა რაღაც საიდუმლოებით არის მოცული და ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან, გაგვაგებინოს თუ რაშია საქმე.

**ს. ჯაფარიძე** (ს.-დ.) ამტკიცებს, რომ მთელ ისტორიის მანძილზე საზოგადოებრივი აზრის ბრძოლის შინაარსი იყო მოქალაქის პიროვნების უზრუნველ ყოფა სახელმწიფო მოხელეებისაგან, განსაკუთრებით ადმინისტრაციისაგან, ეს ბრძოლა დღესაც სწარმოებს. ყველა ქვეყნებს აღნიშნული ჰქონდათ თავის კონსტიტუციაში, რომ ბოროტმოქმედი დატუსაღებულ იქნას ბოროტების ჩადენის ალაგას, ან განსაკუთრებული ორდერით, მაგრამ განა დღევანდელ პირობებში შეიძლება ასეთი წესის ცხოვრებაში გატარება? დღეს განსაკუთრებული პირობებია, რომელიც იწვევს განსაკუთრებულ ზომებს. ომმა ცხოვრება ააფორიაქა, ყველა დარგში შეიტანა არევ-დარევა, ბოროტმოქმედებამ პირდაპირ მასიური ხასიათი მიიღო. სასამართლო ვერ აუდის ამ საქმეებს. ჩვენ მარტო სასამართლოს წესით არ შეგვიძლია უზრუნველვყოთ მოქალაქეთა მშვიდობიანი ცხოვრება. (გვაზავა ადგილიდან: დავიჭიროთ ჩარკვიანი?) გუშინ ჩარკვიანი დავიჭირეთ, დღეს გვაზავას დავიჭერთ, ხვალ ჯაფარიძეს, და ასე უნდა ვებრძოლოთ ბოროტ-მომქმედებას. ასეთ დროს ხშირად სასამართლოს წესით ვერ დასჯით ბოროტ მოქმედს; საკმარის საბუთებს ვერ მოსძებნით, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა დაეყრდნოთ თქვენს რწმენას, სინდისს. ჯერ არ მოგვისმენია მინისტრის განმარტება, მაგრამ ერთი კი ცხადია: აქ ზომები მიღებულია ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ. ჩვენ უნდა დავავალოთ მთავრობას, რომ მომავალშიც მკაცრი ზომები მიიღოს ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ.

**მინისტრის განმარტება.**

**ნ. რამიშვილი.** იმ შეკითხვის შესახებ რომელიც აქ ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის მიერ არის წარმოდგენილი, მაქვს პატივი მთავრობის სახელით მოგახსენოთ შემდეგი: ქ. ქუთაისში მოჰკლეს ერთი კომისარი და სახალხო გვარდიელი უნიანი. ჩვენის ცნობით ამ მკვლელობაში პირდაპირ, თუ არა პირდაპირ, მონაწილეობას იღებდა ლეჩხუმის მაზრის მცხოვრები ნიკოლოზ ჩარკვიანი. ჩვენ გაცემული გვქონდა განკარგულება მის დასაჭერად, მაგრამ იმ ხანებში ვერ მოხერხდა, ის მიიმალა. შემთხვევით, 2 აპრილს სახალხო გვარდიელებმა ის დაატუსაღეს თფილისში. ტუსაღი ჩვენზე გადმორიცხულ იქნა და საქმე გადაეცა საოლქო ბრალმდებელს, გამოძიების დროს შესაფერი საბუთები ვერ იქნა წარმოდგენილი და ბრალმდებელმა ჩარკვიანი ისევ ჩვენ გადმოგვცა ერთი თვის შემდეგ. ჩვენთვის იმ შემთხვევაში ერთი რამ აშკარა იყო: საგამომძიებლო ნაწილმა შესაფერი ცნობები ვერ შეკრიბა, ამით აიხსნებოდა ის გარემოება, რომ ბრალმდებელმა ვერავითარი განაჩენი ვერ გამოიტანა. ამასთან, ჩვენ ისიც ვიცოდით, რომ ჩარკვიანი ამ მკვლელობაში, პირდაპირ, თუ არა პირდაპირ მონაწილეობას ღებულობდა. ეს უდაო იყო. ეს პირველი არ არის. ჩარკვიანი რეციდივისტი იყო. ასეთ საქმეებს სჩადიოდა 1905 წ. ამიტომ ჩვენ შეუძლებლათ დავინახეთ მისი განთავისუფლება და ის ადმინისტრატიული წესით ციხეში იჯდა, და ადმინისტრა-

# დღეს

ბერლინში პრეზიდენტ ებერტზე და სამხედრო მინისტრ ნოსკეზე თავდასხმა მოხდა. თავდასხმა უშედეგო გამოდგა.

შვეციის პალატამ 126 ხმით 14 წინააღმდეგ მიიღო მთავრობის კანონპროექტი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

მოკავშირენი არჩევენ საკითხს, ვის გადასცენ ალანდიის კუნძულები: შვეციასა თუ ფინეთს.

მოკავშირენი სცნობენ უნგრეთის მთავრობას, მაგრამ მოითხოვენ, რომ ის კოალიციურად იქნეს შემდგარი.

რკინის გზელთა გაფიცვა თითქმის მთელ ინგლისს მოედო.

ამერიკა თანახმაა საბჭოთა რუსეთს ზავი შეეკვრას.

ვილსონი ავად გამხდარა.

საფრანგეთს სწადია მთელი რურის ოლქი დაიკავოს.

კოვნოში ლიტველი ბოლშევიკები და გერმანელი სპარტაკელები აჯანყდენ. ქუჩებში ბრძოლა მოხდა აჯანყებულებსა და პოლიციას შორის.

---

ტიული წესითვე მას სხვა სასჯელიც უნდა მოეხადა.

შეკითხვის ავტორებმა აქ საკითხი სხვა სახით წარმოგვიდგინეს. მათი მიზანია თვითნებობით ახსნან ეს ფაქტი. აქ სწამებენ გვარდიას ჩვენს საქმეებში ჩარევას მე ვამტკიცებ, რომ აქ არავითარ ჩარევას ჩვენს საქმეებში გვარდიის მიერ და არც თვითნებობას ადგილი არ ჰქონია. ჩვენ მივიღეთ ზომები მხოლოდ ბოროტმოქმედის წინააღმდეგ. ჩემთვის ეჭვ გარეშეა, რომ მოქ. ჩარკვიანი იმ მკვლელობებში მონაწილეობას იღებდა და ვინაიდან არავითარი შესაძლებლობა არ იყო ბოროტმოქმედების წინააღმდეგ სხვა ზომები მიგვეღო, ჩვენ მივმართეთ ადმინისტრატიულ ზომებს.

თქვენს წინაშე ბევრი ისეთი საკითხები იყო, რომლებსაც ჰქონდა წმინდა პოლიტიკური ხასიათი. ეს მკვლელობაც მოხდა პოლიტიკურ ნიადაგზე და ამასაც პოლიტიკური ხასიათი აქვს. (ნაც.-დემოკრატები: ვინ მოჰკლა?). უკეთესი იქნება, რომ ნაც. დემოკრატები ნაკლებად ხმაურობდნენ ამ საკითხებზე. თქვენ (მიუთითებს ნაც. დემ.) არაფერს ამბობთ მაშინ, როცა ადმინისტრატიულ ზომებს ვიღებთ ერთი ჯგუფის წინააღმდეგ, მაშინ პირიქით, თქვენ ყოველ ზომას ტაშს უკრავთ. რათ ზომავთ ამ შემთხვევაში სხვა საზომით? ალბათ იმიტომ, რომ ჩარკვიანთან თქვენ კავშირს გრძნობთ. თქვენ იცით, რომ ეს პოლიტიკური ხასიათისა იყო, რომ ეს გაგრძელებაა წინანდელი ამბებისა, მაგრამ მაინც გამოდიხართ აქ და კორიანტელს აყენებთ. თუ რაიმე მნიშვნელობა აქვს ამ გამოსვლებს და შეკითხვას ეს ისა, რომ ის გამოააშკარავებს ზოგიერთ ჯგუფების ზრახვებს. (ტაში).

გ. გვაზავა (ნ. დ.) აღნიშნავს: აქ მინისტრმა სხვანაირად დააყენა საკითხი. ჩვენ გვაწუხებს მხოლოდ ის თვითნებობა, რომელსაც ამ კონკრეტიულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა. რაც შეეხება ბოროტ-მოქმედთა წინააღმდეგ ზომების მიღებას, ამას ჩვენც მოვითხოვთ.

ალ. ასათიანი (ნ. დ.) ამტკიცებს, რომ სახალხო გვარდიას კანონის ძალით არა აქვს უფლება ჩაერიოს შინაურ საქმეებში, მისი მოვალეობაა, ჩვენი რესპუბლიკის დაცვა მტრებისაგან. ადმინისტრატიული ფუნქციის შესრულება კი კანონის დარღვევაა. აი ამ თვითნებობის წინააღმდეგ არის მიმართული ჩვენი შეკითხვა.

შ. მეხხიშვილი. (ს. ფ.) ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მთავრობას შეუძლია ადმინისტრატიული ზომების მიღება, და ამბობს: საკითხი იმაში კი არ არის, რომ მთავრობამ ადმინისტრატიული ზომები იხმარა, არამედ იმაში, რომ ეს ადმინისტრატიული ზომები კანონიერ ფარგლებში იყო, თუ არა ნახმარი. საჭიროა ადმინისტრატიული ზომების მიღების დროს ერთნაირი წესი დაცულ იქნას: დატუსაღება უნდა ხდებოდეს ორდერით.

ნ. რამიშვილი. აქ ხშირად იმეორებენ: გვარდიას არ ქონდა უფლება დაეტუსაღებია ჩარკვიანი, ამიტომ მან თვითნებობა ჩაიდინაო და სხვ. მართალია, აქვს თუ არა გვარდიას უფლება ბოროტმოქმედის დატუსაღებისა? უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველგვარ სერიოზული საქმის დროს როგორიცაა დეზერტირების აკრეფა, ყაჩაღებთან ბრძოლა და სხვ. ჩვენ ვეყრდნობით სახალხო გვარდიას, როგორც პროვინციებში, ისე აქაც.

რაც შეეხება ქუთაისში მომხდარ მკვლელობას, მას არა აქვს მარტო სისხლის სამართლის ხასიათი, ის პოლიტიკურ ნიადაგზეა მომხდარი. აქ ასათიანმა სიცილით სთქვა, რომ მკვლელობა მთელმა რაზმმა ჩაიდინა და ჩარკვიანი რა შუაშიაო. მკვლელობა ჩაიდინა განსაკუთრებულმა წრემ, ამ წრეს თქვენც იცნობთ, ბ. ასათიანო, იცნობს ამ წრეს აგრეთვე მთელი ლეჩხუმის მაზრა და ნაწილი რაჭის მაზრისაც. ამ წრის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო ჩარკვიანი. და ამიტომ იყო მის წინააღმდეგ ადმინისტრატიული ზომები მიღებული. თქვენ ასეთ ზომებს ერთ შემთხვევაში ამართლებთ. ავიღოთ თუ გინდ ბარათოვის თავდამსხმელების მაგალითი. ამ თავდასხმის გამო ერთი მოკლულ იქნა და ორი დაპატიმრებული, სასამართლოს წესით ის ორი უნდა გაენთავისუფლო, რადგანაც საკმაო საბუთები ჯერ არ მოგვეპოვება. როგორ ფიქრობთ თქვენ, განთავისუფლებულ უნდა იქნენ თუ არა ისინი? (როგორც ნაც.-დემოკ., ისე ფედერალისტები სდუმან.) თქვენ მათ განთავისუფლებას არ მოითხოვთ, მათ წინააღმდეგ მიმართულ ადმინისტრატიულ ზომებს სავსებით ამართლებთ. თქვენ ასეთ შემთხვევაში ორი საზომი გაქვთ: როცა ერთი ჯგუფის წინააღმდეგ ვხმარობთ ადმინისტრატიულ ზომებს, მაშინ ტაშს გვიკრავთ, როცა მეორე ჯგუფის—მაშინ კი ყალყზე სდგებით.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ და ჩვენთან ერთად მთელი ლეჩხუმის მაზრა დარწმუნებულია, რომ ჩარკვიანი ბოროტმოქმედია. მთავრობას არ შეეძლო ამ საქმისათვის გულგრილათ ყურება, მას აუცილებლათ უნდა მიეღო ზომები. აქ ლაპარაკობდნენ, რომ თქვენ 10 წლის უკან რომ მოხდა იმ საქმეებზე ეყრდნობითო, ჩვენ იმიტომ მოვიყვანეთ 1905 წ. მაგალითი, რომ ის ჩვენს რწმენას ამტკიცებს და ადასტურებს.

აქ ლაპარაკობდნენ აგრეთვე, რომ იმ წამიდან, როცა ჩარკვიანი სასამართლოს გადაეცა, სამინისტროს არავითარი უფლება არ ქონდა ამ საქმეში ჩარევისა. მე მოგიყვანთ საბუთს. (ის კითხულობს ოლქის ბრალმდებლის მიერ მოწერილ ქაღალდს). აი აქ სწერია, რომ პატიმარი ჩარკვიანი თქვენს განკარგულებაში იგზავნება, რადგანაც მის დასასჯელათ საკმაო საბუთები არა გვაქვსო. სოც.-ფედერალისტები დაჟინებით ლაპარაკობენ იმაზე, რომ უორდეროთ როგორ დაატუსაღეთო. საერთოდ ფედერალისტები ყოველთვის მომხრე იყვნენ, როგორც ადმინისტრატიული ზომების მიღებისა, ისე უორდეროთ დატუსაღებისა.

მაგრამ ეს იყო მაშინ, როცა ისინი მთავრობაში იყვნენ. რა ცვლილება მოხდა მერე?—ეს ყველამ კარგათ იცის. უორდეროთ დაჭერა ეს ფორმალური, მხარეა, ჩვენ ხშირათ ისეთ პირობებში გვიხდება ბოროტ-მოქმედთა წინააღმდეგ ბრძოლა, რომ ასეთ ფორმალურ მხარეს ვერ შევასრულებთ. მისი შესრულება ჩვენს სახელმწიფოს საქმეებს ხშირათ ზიანსაც მოუტანდა.

(დასასრული იქნება).

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

4 ოქტომბერი.

**ბოლშევიკური ცნობები.**

მოსკოვი. ოქტ. 3. (დასაწყისი არ არის მიღებული). ფიქრობენ, რომ ვილსონი ხელშეკრულებას უკანვე დაიბრუნებს, რომ ისევ გადასცეს პრეზიდენტის არჩევის შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ ის მიიღებს უმეტესობას. იაპონიასთან ხელშეკრულების რატიფიკაციის გამო აქამდე ცნობები არ მოსულა. ინგლისის წრეებში აცხადებენ: ასეთს მდგომარეობის დროს, იტალიას არ შეუძლია დაიწყოს ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხზე თათბირი. ამ მდგომარეობის გამო პარიზის წრეები თავის თავს კითხვას აძლევენ, აქვს თუ არა რაიმე აზრი საფრანგეთისთვის, რომ ის ხელშეკრულების რატიფიკაციაში ჩაებას და თავის თავზე მიიღოს ზოგიერთი ვალდებულებანი იმ დროს, როდესაც ხელშეკრულება ჯერ ძალაში არ შესულა.

ვოლოგდა. ენკენ. 30. არხანგელსკში მყოფ თეთრგვარდიელთა სარდალმა გენ. მილლერმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: „ამდენ ხანს არხანგელის მრავალი მცხოვრები არ გამოცხადებულა რეგისტრაციისთვის ეროვნულ ლაშქარში ჩასაწერად. ვუბრძანებ ყველა დაწესებულებებს, რომლებიც მცხოვრებლებს სასურსათო ბარათებს ურიგებენ, არ მისცენ ბარათები იმ მამაკაცებს 17—50—წლამდე, რომლებიც რეგისტრაციულ ბარათს არ წარმოადგენენ. იმათ ვინც თავის მოვალეობას არ ასრულებს, გამოაცხადებენ ბოლშევიკების მომხრეებათ და ფრონტზე გაგზავნიან.

ნაუენი ენკ. 30. შვეციის პალატამ 126 ხმით 14 წინააღმდეგ მიიღო მთავრობის კანონ-პროექტი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

ნაუენი ოქტ. 2. ლუდვიგსჰაფენიდან იუწყებიან, რომ მუშებსა და ფრანგ ყარაულებს შორის შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც ფრანგებმა მრავალი მოქალაქე მოკლეს და დასჭრეს. მუშათა კავშირები მოითხოვენ საფრანგეთის ყარაულების გაწვევას.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის რადიო დეპეშა გაგზავნილი პარიზში, ლონდონში, რომში, ტოკიოში, სტოკჰოლმში, ჰელსინგფორსში, გარეშე საქმეთა სამინისტროებს და ვაშინგტონში სახელმწიფო სეკრეტარიატის სახელზე, მოკავშირეთა ქვეყნების რადიო დეპეშების ცნობით, 5 მთავარი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა და მათმა მოკავშირე სახელმწიფოებმა პარიზში გადასწყვიტეს დაიწყონ ალანდიის კუნძულების საკითხის გადაწყვეტა ფინეთს დაუმორჩილონ თუ შვეციას. ...(გამოტოვებულია). ალანდიის კუნძულებზე ვერ გაბატონდება ფინეთი, იმიტომ ... (დამახინჯებულია) მასა და რუსეთის შორის ხელშეკრულების გამო ალანდიის კუნძულების შვეციაზე გადაცემა რუსეთის მონაწილეობის მიუღებლად შეუძლებელია, რადგან ალანდიის კუნძულების გეოგრაფიული მდგომარეობა ფინეთის ყურესთან შესავალში აკავშირებს... (გამოტოვებულია) რუსეთის საბჭოთა მთავრობა, ყოველთვის მის მიერ აღიარებულ მშრომელთა თვითგამორკვევის პრინციპს არ უღალატებს და არ სურს ძალით დაავისროს... (გამოტოვებულია) არც ერთ ქვეყანას, აღნიშნავს, რომ მოკავშირეთა მთავრობა თავის ნებით წყვეტს რა ალანდიის საკითხს, ითვისებს უფლებას, რომელიც მათ არ ეკუთვნის. რუსეთის საბჭოთა მთავრობა, აცხადებს რა, რომ ალანდიის კუნძულების შესახებ არავითარ იმ ხელშეკრულებას არ მიიღებს, რომელშიც თვით არ მიიღებს მონაწილეობას, პროტესტს აცხადებს ასეთი საქციელის გამო, და აფრთხილებს, რომ ასეთს გადაწყვეტილებას არავითარი ძალა არ ექნება იმ უზურპაციის გამო, რომელსაც სჩადის უმაღლესი ძალა-უფლება სხვა ხალხის მიმართ.

ნაუენი. 2 ოქტ. უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტს აუწყეს, რომ მოკავშირეები სცნობენ მის მთავრობას და მოითხოვენ კოალიციურ მთავრობის შედგენას, წინააღმდეგ შემთხვევაში რეპრესიებით იმუქრებიან.

გომელი. 2 ოქტ. კოვნოში ლიტველი ბოლშევიკები და გერმანელი სპარტაკელები აჯანყდნენ. ქუჩებში ბრძოლა მოხდა აჯანყებულებსა და პოლიციის შორის.

ლიონი. 2 ოქტ. რკინის გზელთა გაფიცვა თითქმის მთელ ინგლისს მოედო.

ვიტებსკი. 2 ოქტომბ. პოლონელების მიერ დაპყრობილ მინსკის გუბერნიის ქალაქებში ქალაქის თვითმართველობები არსდება. გამოიცა ბრძანება, რომ გაიხსნას კერძო სავაჭროები და რესტორანები. ის სახლის პატრონები, რომლებიც კომუნისტებს არ გასცემენ, 6 თვით იქნებიან დაპატიმრებული. ნება დართეს სპირტეულობით ვაჭრობა.

ვიტებსკი. ოქტ. 2. ბერლინიდან პრეზიდენტ ებერტზე და სამხედრო მინისტრ ნოსკეზე თავდასხმა მოახდინეს. თავდასხმა უშედეგო გამოდგა.

ბელოოსტროვი. ოქტ. 2. „მატენ“-ს მოყავს ადგილები ვილსონის მიმართვიდან: ამერიკამ მოკავშირენი გადაარჩინა ომის დროს და ეხლაც თავიდან აცილებს გალატაკებას. მიმართვა თავდება მსხვილი მიწათმფლობელებისადმი მოწოდებით, დაკმაყოფილდნენ მცირე მოგებებით და მიზნათ დაისახონ აგრეთვე კაცობრიობის კეთილდღეობაც. მუშებს წინადადება ეძლევათ თავი შეიკავონ გაფიცვებისაგან.

ბელოოსტროვი. ენ. 30. ჰოლანდიური გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთი, რათა ნახშირის შიმშილი თავიდან აიცილოს, მთელი რურის ოლქის დასაჭერათ ემზადება. ვერსალში დარწმუნებულნი არიან, რომ გერმანიის მიმართ იძულებითი ზომების მიუღებლათ შეუძლებელია ნახშირის დამუშავების გაძლიერება, მაღაროს მუშების წინააღმდეგობის გამო.

ლიონი. ენკ. 3. იტალიის ოფიციალური წრეები იმ აზრის არიან, რომ თუ სამხრეთ სლავიანებთან იარაღის მონაწილეობით მოხდება უთანხმოება, მთავრობა დ-ანუნციოს დაუხმარებლათ ვერ დასტოვებს. ამის გამო აბაციაში 326 არმიის კორპუსის უფროსის გენერალ ჰანდოლფოს და დ-ანუნციოს შტაბის უფროსის რედოიას შორის საუბარი მოხდა. ამის გამო „სტამპა“-სწერს: „ეჭვს გარეშეა, რომ საჭიროებამ თუ მოითხოვა, ორივე არმია მტრის წინააღმდეგ საბრძოლველათ გამოვა“.

ბელოოსტროვი. ოქტ. 3. ჰოლანდიის გაზეთებს ტოკიოდან აუწყებენ, რომ იაპონია ამერიკის სენატის საბოლოო გადაწყვეტილებას უცდის. იაპონიის მთავრობა წყნარ ოკეანეში ამერიკის ფლოტი შანდუნში საქმის მდგომარეობასთან აკავშირებს.

შენკურსკი. ოქტ. 2. არხანგელსკის გაზეთებში დაბეჭდილია პარიზიდან მიღებული შემდეგი დეპეშა: „მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო მოლაპარაკებას აწარმოებს ბულგარეთთან 90,000 რუსულ თოფის და ტყვია-წამლის საყიდლათ. რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო მმართველობა აპირებს ეს იარაღი დენიკინს გაუგზავნოს. სამაგიეროთ დენიკინი პურს მიაწვდის.

ბელოოსტროვი. ენკ. 30. როტერდამიდან „ფოსიშე-ცეიტუნგი“-ს აუწყებენ, რომ მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ ბულიტმა ვილსონს, ლანსინგს და პოლკ. ჰოუზს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც მოყვანილია საბჭოთა მთავრობის პირობები. ჰოუზმა დეპეშით უპასუხა, რომ ამერიკა მზადაა ამ პირობებზე ზავით შეეკრას ბოლშევიკებს. შემდეგ ჰაუზმა მას განუცხადა, რომ პრეზიდენტი ამ ჟამად ისეა დაბანდებული საზავო ხელშეკრულებით, რომ ვერ შეუძლია ყურადღება მიაქციოს რუსეთის საკითხს.

ლიონი. ოქტ. 2. ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკული კომიტეტის თავმჯდომარე დ-რი ჯემს ბარტონი, რომელმაც 8 თვის განმავლობაში გაიარა მცირე აზია, სირია, პალესტინა, მესოპატამია და სომხეთი, დაბრუნდა მისი სიტყვით, იქ მდგომარეობა თანდათან უფრო საშიშო ხდება და მოსალოდნელი გახდება დიდი მტრული გამოსვლები.

ვიტებსკი. ოქტ. 2. „ბობრუისკი კურიერი“ იუწყება, რომ კოვნოსა და მის მიდამოებში მასიური ჩხრეკა-დაპატიმრება მოხდა პოლონელთა შორის.

ურალსკი. ოქტ. 2.. ზაურმლის ოლქში გადასახლებულნი ადგენენ პარტიზანულ რაზმებს, რომელიც ყაზახებს ყოველ სოფლებში უწევენ წინააღმდეგობას. წითელი პარტიზანები ხშირად ყაზახთა ზურგში მოქმედებენ.

ტულა. 3 ოქტ. ტულის მიდამოებში დაიწყეს ქვა-ნახშირის დამუშავება. სად. პლეხანოვოსთან უკვე გამოჩნდა ქვანახშირი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 2 ოქტ. კომუნისტების საერთო ყრილობაზე მიიღეს დადგენილება, გაიგზავნოს ფრონტზე ყველა, ვისაც ბრძოლა შეუძლია, იმ აუცილებელ საპასუხისმგებლო პირების გარდა, რომელთაც ვერავინ ვერ შესცვლის.

მოსკოვი. 2 ოქტ. რაიონულ პარტიულმა ორგანიზაციებმა გააცილეს სამხრეთ ფრონტზე წამსვლელი კომუნისტები.

**იტალიური პრესის ცნობები.**

რომიდან იუწყებიან, რომ ოქტომბრის 6 იტალიის, საფრანგეთის, ინგლისის და ბელგიის ეკონომიური კომისიები ბრესტიდან შეერთებულ შტატებში გაემგზავრება იმ მიზნით, რომ ამერიკის ფართო წრეებს გააცნოს ევროპის ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობა და გამოარკვიოს აღდგენის ხანაში მოკავშირე და შეთანხმებულ ქვეყნების თანამშრომლობის აუცილებლობა.

საერთო რწმენა ისეთია, რომ პალატას არ შეუძლია და არც უნდა განაგრძოს მუშაობა. გაზეთები პალატის დათხოვნას მოითხოვენ. ნიტტიმ ყველა პრეფექტებს გაუგზავნა დეპეშა, სადაც სთხოვს არჩევნებში დახმარებას.

დანტე ალიგიერის სახელობის საზოგადოებამ 50,000 ლირა გადასცა ფიუმეს ეროვნულ საბჭოს.

„ტრიბუნა“ იუწყება, რომ ტიტტონის დღეს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ნიტტისთან. ფიქრობენ, რომ მოკლე ხანში ტიტტონი ისევ გაემგზავრება პარიზში.

ფრანგული გაზეთები თანაგრძნობით შეხვდნენ ტიტტონის სიტყვას.

რადგანაც ვილსონი ამ ჟამად ავათაა, ამერიკაში მიმავალ ბელგიის მეფე-დედოფალს ვაშინგტონის „თეთრ სასახლე“-ში ვილსონი თავის დაბრუნების შემდეგ მიიღებს.

**გერმანული პრესის ცნობები.**

ჰამბურგის ნავთსადგურის მუშებმა უარი განაცხადეს კომუნისტ მეზღვაურების მიერ გამოცხადებულ გაფიცვაში მონაწილეობაზე.

მკაცრ ზომებს ღებულობენ დანიასა და ჰოლანდიაში კონტრაბანდით პურის გაზიდვის წინააღმდეგ.

დემოკრატებმა თანხმობა განაცხადეს მთავრობაში შესვლაზე.

იუწყებიან, რომ ამერიკის სენატში წარმოთქმულ სიტყვაში სხვათა შორის განცხადებული იყო, რომ ოქტომბრის 22 მოხდება საბოლოო ხმის მიცემა საზავო ხელშეკრულების დასადასტურებლად.

პარიზიდან იუწყებიან, შეუძლებელია, რომ სენატმა ყოველივე პირობის გარეშე მიიღოს საზავო ხელშეკრულება.

იტალია აცხადებს, რომ შექმნილ პირობების გამო საზავო ხელშეკრულება ახლა არ იქნება განხილული.

ეროვნული ყრილობის საბიუჯეტო კომისიაში ნოსკემ განაცხადა, რომ ეროვნულ კომიტეტს ამ ჟამად 400,000 წევრი ყავს, მაგრამ ეს რიცხვი თანდათან მცირდება.

ამერიკის წარმომადგენელმა პოლკ—მა კონსულ მეიერჰაუზერს აუწყა, რომ არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობება წინ გერმანულ ავსტრიის და გერმანიის წარმომადგენელთა გამგზავრებას შრომის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ოქტომბრის 21 უნდა შესდგეს ვაშინგტონში. „ბერლინერ ტაგებლატ“ ი აღნიშნავს, რომ წესიერი არაა და გაუგებარია, რომ ამ კონფერენციას ნიშნავენ საზავო ხელშეკრულების დადასტურებამდე, რადგან კონფერენცია ზავის შემდეგ უნდა იყოს. ეს იმას მოწმობს, რომ ხელშეკრულების დადასტურების გადადება მოულოდნელი იყო. არავის არ სურდა, რომ შრომის მოწესრიგების საკითხი გადადებულიყო, ყველაზე ნაკლებ კი ეს სურდა გერმანიას, რომელმაც შრომის პირობების მოწესრიგების პროგრამა საზავო მოლაპარაკების დასაწყისშივე წარადგინა. გერმანია უაღრესადაა დაინტერესებული, რომ ყველა სამრეწველო სახელმწიფოში მოისპოს სოციალური განსხვავება, თუმცა გერმანია და ავსტრია არ ირიცხებიან ხალხთა ლიგის წევრებათ და მოკავშირეებმა ოფიციალურად არ მოიწვიეს, მაგრამ ნება დართეს დაესწრნენ კონფერენციას, რაც ერთი და იგივეა.

# ახალი ამბები

დღეს, დილის 10 საათზე, დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა. წევრებს სთხოვენ უსათუოდ დაესწრან.

✦ **საპატივსაცემო ვახშამი.** 3 ოქტომბერს საღამოს ქართულ კლუბში საქართველოს მთავრობამ გაუმართა ამერიკელ გენერალ ჰარბორდს პატივსაცემი ვახშამი. ვახშამს დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევ. გეგეჭკორი, მინისტრი ხომერიკი, ფინანსთა მინისტრი კანდელაკი, გენერ. გედევანიშვილი, რკინის გზის დირექტორი ჰეჰინაძე, დამფ. კრების თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე, მისი ამხ. თაყაიშვილი და პოლიტიკურ საზოგადოებათა წარმომადგენლები. ვახშამმა მხიარულად ჩაიარა.

✦ **სამხედრო სამინისტროსაგან.** „ტიფლისკაია გაზეტა“-ს ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია წერილი „ჩეჩნეთსა და დაღესტანში“-ს სათაურით, სადაც ნათქვამია, რომ სააგენტოს ცნობების თანახმად საქართველომ ინგუშეთსა და დაღესტანში გაგზავნა 60 ქართველი და 30 გერმანელი აფიცერი იარაღითა და ფულით, აჯანყების ორგანიზაციის მოსაწყობათო. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტრო კატეგორიულად აცხადებს, რომ საქართველოს დაღესტანში არავითარი აფიცერი არ გაუგზავნია და ეს ცნობა მტკნარ სიცრუეს შეიცავს.

✦ **ელიგულაშვილის გატაცების განზრახვა.** ქუთაისის ოლქის ბრალმდებელი დეპეშით ატყობინებს იუსტიციის მინისტრს, რომ 28 ენკენისთვეს ბოროტ-გამზრახველნი თავს დაესხნენ გატაცების მიზნით ქუთაისის მდიდარს მოსე არ. ელიგულაშვილს. ეს უცბათ გაიგო იქ მდგომმა მილიციამ, აუტეხა მათ სროლა და ამით ხელი შეუშალა ამ ბოროტ მოქმედების განხორციელებას. ამ სროლის დროს დაიჭრა ერთი ბოროტ მოქმედთაგანი, რომელიც აღმოჩნდა სოფ. ზხეფის მცხოვრები ანტონ ძიძიგური, რომელიც შეიპყრეს. მიღებულია ზომები დანარჩენთა დასაჭერათ.

✦ **სასურსათო განყოფილება ქალაქის** თვითმართველობისა მსურველთ აძლევს განუსაზღვრელ რაოდენობით ქატოს შემდეგ ფასებში: ხორბლისა 70 მან. ფუთი, სიმინდისა 50 მან. ფუთი, ქერისა 60 მან. ფუთი.

✦ **საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** დღეს, დილის 10 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა წლიური კრება. ჯერ წაკითხულ იქნება საზოგადოების თავმჯდომარის ე. თაყაიშვილის მიერ მოხსენება: „ყარსის ოლქის ზოგიერთი ქართული ძველი ნაშთები“ და შემდეგ განიხილავენ საზოგადოების წლიურ ანგარიშებს 1918 წლისას და კრების სხვა მორიგ საგნებს. კრებას გარეშეთაც შეუძლიათ დაესწრონ.

✦ **ქართული ენის კურსები.** ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე (ჭავჭავაძის ქუჩა № 9 და სასამართლოს შესახვევი) გაიხსნება ქართული ენის კურსები ქალაქის მოსამსახურეთათვის.

✦ **სახალხო უნივერსიტეტში** დღეს მოხდება საზეიმო გახსნა სამოსწავლო წლისა. დასაწყისი სრულ 7 საათზე.

✦ **ძუკუ ლოლუას მეხამე კონცერტი.** დღეს მეორე ქართულ კლუბში (მიხეილის პროსპექტი № 129) გაიმართება დასავლეთ საქართველოს დამსახურებულ ლოტბარის და მომღერალის ძუკუ ლოლუას კონცერტი ფრიად საინტერესო პროგრამით. კონცერტი ოთხ განყოფილებიანია: გურულ-იმერულ მეგრულ-აფხაზურ სიმღერებით, ცეკვა-თამაშით და ჩვეულებებით. დასაწყისი სრულ 8 ნახ. საათზე.

✦ **სწავლის საქმე სომხეთში.** ამ სამოსწავლო წლიდან სომხეთის მთავრობამ გახსნა მთელი რიგი პირველ დაწყებით სკოლებისა და აგრეთვე სახალხო უნივერსიტეტი.

✦ **თოფჩიანის გამგზავრება.** გუშინ სომხეთში გაემგზავრა საქართველოს სომხეთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე თოფჩიანი.

✦ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** ტეხნიკური საზოგადოების გამგეობა სთხოვს თავის წევრებს ინჟინრებს და ტეხნიკოსებს საჩქაროდ მოაწოდონ ცნობები სამსახურობის შესახებ და მისამართი ხნკ. ვ. კაკაბაძეს, თფ... № 70

...

... შენობაში დანიშნულია მე 5 სამ... ლიციო უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა საზოგადო კრება. მოსმენილი იქნება ქართულ და სომხურ ენებზე მოხსენებები მომენტზე და მოხდება მცირე კოლექტივის რეორგანიზაცია.

— დღეს, დილის 10 საათზე დანიშნულია საქ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის თფილისის კომიტეტის სხდომა. ამხანაგებს სთხოვენ უეჭველად დაესწრონ.

— სამშაბათს, 7 ოქტომბერს, შუადღის 3 საათზე, ორთაჭალაში (ვორონცოვის ქ., შუბლაძის ბაღი) დანიშნულია საერთო კრება თფილისის და მისი რაიონის ბაღების პატრონთა და მოიჯარადრეთა. ირჩევა საკითხი იჯარის მომატების შესახებ.

— დღეს შუადღის 12 ს. ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ტფილისის კვანძის მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ განმანათლებელ კომისიასთან არსებულ წრის სცენის მოყვარეთა საერთო კრება.

— დღეს, სად. 5 საათ დანიშნულია საქ. ახ. მარქს. ორგ. ცენტრ. კომიტეტის სხდომა.

— დღეს, დილის 10 ს. ქალაქთა კავშირის ამბულატორიაში (სომხის ბაზარი № 6) შესდგება ქალაქთა კავშირის მუშების და მოსამსახურეთა—პროფესიონალური კავშირის წევრთა კრება.

— კვირას, 12 ღვინობისთვეს 1919 წ., დილის 10 საათზე, ოლქის სასამართლოს შენობაში დანიშნულია თფილისის სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა დელეგატების საზოგადო კრება. მოხელეთა კავშირის საბჭო სთხოვს დელეგატებს აუცილებლივ დაესწრნენ ხსენებულ კრებას.

# ბოლშევიკების განცხადება

ბოლშევიკების კავკასიის საოლქო კომიტეტმა შემდეგი პროკლამაცია გამოუშვა: „1) საქართველოს მთავრობა და მის სათავეში მდგომი მენშევიკების პარტია უკანასკნელ ხანებში ბარათოვზე თავდასხმის გამო ავრცელებს ხმებს თითქოს ჩვენი პარტია აღნიშნულ მთავრობის სხვა წევრებზედაც ემზადებოდეს თავდასხმისათვის. 2) ამ ვითომდა მოსალოდნელ თავდასხმებისაგან გასაფრთხილებლად საქართველოს მთავრობამ (შინაგან საქმეთა მინისტრმა) უკვე მოახდინა საიდუმლო განკარგულება შემდეგი შინაარსისა: დაჭერილი ჩვენი პარტიის აქტიური მუშაკები არ მიიყვანონ საპყრობილემდე, არამედ დახვრეტილ იქნენ გზაშივე, გაქცევის საბაბით.

ამის გამო კ. ს. კ. თავის მოვალეობად სთვლის განაცხადოს შემდეგი:

1) არავითარი განზრახვა საქართველოს მთავრობის წევრებზე თავდასხმისა ჩვენს პარტიას მთლიანად, ანდა მის ცალკე წევრებს, არა აქვთ, რადგანაც ამას ვაღიარებთ სრულიად უდროოდ და მიზან-შეუწონლად, რადგანაც საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ თვით მოსჭამა თავის დრო.

2) უყურებთ რა საქართველოს მთავრობის მოქმედებას, განსაკუთრებით ზემოდ აღნიშნულ განკარგულებას და აგრეთვე ოფიციალურ განცხადებას ნ. რამიშვილისა და არსენიძისა, როგორც აშკარა განზრახვას მთავრობისა და გაბატონებულ მენშევიკების პარტიისა დაიწყოს თეთრი ტერორი, ჩვენი პარტიის წევრების წინააღმდეგ, კ. ს. კ. აცხადებს, რომ ყოველივე მკვლელობას ჩვენი პარტიის წევრებისა, მთავრობის აგენტების ან მენშევიკების პარტიის წევრების მიერ, სადაც ეს არ უნდა იყოს ის და როგორ ფორმებშიც ის არ უნდა მოხდეს, ჩვენ ჩავსთვლით, როგორც თეთრ ტერორს და ეს გამოიწვევს ჩვენგან, თავდაცვის მიზნით, შესაფერ პასუხს“.

# სომხეთში

**სომეხ-თათართა შეტაკებანი.**

ნახიჩევანიდან და აკულისიდან დაბრუნებულმა ამერიკელმა ექ. აშერმა შეგვატყობინა, რომ შარურის მაზრის სიკვდილს გადარჩენილი სომხები მოგროვდენ ხანუხლიარში, სულ 2,200 სულია და საშინელ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ნახიჩევანში დარჩა 5 სომეხი, ასტაპატში—800, ჯაუგში—300. ჯულფიდან სპარსეთში გაიქცა, რომ გადარჩენილიყო—800. დანარჩენ სოფლების მცხოვრებნი ამოხოცილია.

გოხტან, აკულისი რა ჩანანაბი უვნებელია; ტანაკარტი და აზა დანგრეულია. მთის სოფლები ალყა შემორტყმულია თათართა ბანდებისაგან. გადარჩენილი ლტოლვილები მთებში იხოცებიან შიმშილისაგან. „სლ.“

# დუშეთის მაზრის მდგომარეობა
(დასასრული)

თავი და თავი უბედურება დუშეთის მაზრისა არის გონებრივი სიბნელე. მცხოვრებნი ოდნავ მაინც რომ ყოფილიყვნენ შეგნებულნი, მაშინ ერობის შემწეობით ბევრი რამ გაკეთდებოდა, მაგრამ საიდან იქნება ეს შეგნება, როცა მაზრაში მთელი სოფლები რომ დაიაროთ, ძნელად შეხვდებით წერა კითხვის მცოდნეებს. რაღა გასაკვირველია, რომ ასეთს კუთხეში ყველა ოხერი და ტიალი გასჩარხავს თავის ბნელს საქმეებს.

ერობამ მთავარი ყურადღება სწორეთ ამ მხარეს, ხალხის განათლების საქმეს მიაქცია და გახსნა ახალი სასწავლებლები. წელს მაზრაში 46 სასწავლებელია, მაგრამ ვაი, რომ იგი ქაღალდზე რჩება და მაზრა ძველებურად სიბნელის მორევშია ჩანთქმული.

სკოლების ამუშავების საქმეში ერობას სამი დიდი დაბრკოლება გადაეღობა. პირველი: ხალხი არა ნდომობს სკოლას. რამდენიმე სოფლიდან სოფლელებმა უკან დააბრუნეს მასწავლებლები. მართალია, ღარიბები ვართ, მაგრამ ერთ ლუკმა პურს მაინც იშოვნის ჩვენი შვილი და თავს სამათხოვროდ არ გაიხდისო, ჩვენებური გლეხს ღრმათა სწამს, რომ სწავლა მხოლოდ გალატაკებულ და გაპარტახებულ ოჯახის წევრმა უნდა მიიღოს. თუ რა ძლიერია უნდობლობა სწავლისადმი, სჩანს ერობის გამგეობის მოხსენებიდან, საცა ვკითხულობთ, რომ ადრევ სოფლელებს ხშირად ქრთამიც კი შეუძლევიათ მასწავლებლისთვის, ოღონდ დაეთხოვნა სკოლიდან მათი შვილები.

მეორე უბედურება გახლავთ ერობის უსახსრობა. დუშეთის მაზრა ძალიან ღარიბია. თუ სხვა ერობები პატარ-პატარა გადასახადებით ხელს ინაცვლებენ—აქ ვერაფერი მოუხერხებია ერობას. და ჯერ ჯერობით ერთად ერთი წყარო ერობისა არის მთავრობის სუბსიდია და ცხადია, ის პირსაც ვერ მოსწმენდს აუარებელ საქმეებით დატვირთულს ერობას. თავად არავინ მოდიოდა ამ მოწყვეტილს კუთხეში სამუშაოდ და ამ უფულობამ ხომ ყველას გზა დაუცარა. მაშინ, როდესაც სხვა ერობები ახარბებენ ჯამაგირებს და საუკეთესო ძალებს თვისკენ იზარებენ, ჩვენ ამისი თავი არა გვაქვს და ვრჩებით თვალ-ცრემლიანი. თუ რა დიდი განსხვავებაა ჯამაგირებ შორის ჩვენსა და სხვა მაზრებ შორის, მოვიყვან მაგალითს. თფილისის, ქუთაისის და სხვა მაზრების ერობის გამგეობის წევრნი ჯამაგირებს ღებულობენ თვეში 4000—5000 მან., დუშ. მაზრ. გამგეობის წევრი კი 1500 მან. ბევრმა შეიძლება არც კი დაიჯეროს, მაგრამ ეს ჭეშმარიტებაა, სავალალოდ. ასეთივე პროპორციაა სხვა დარგის მოსამსახურეთა შორისაც. არ ვიცი სხვა როგორ შეჰხედავს ამ ამბავს, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ყოვლად დაუშვებელია. ყველა მაზრა თანაბარს პირობებში უნდა იყოს ჩაყენებული. სახელმწიფომ ღონიერ მაზრებს სრულებითაც კი უნდა მოუსპოს დახმარება, რომ მათი ხარჯით როგორმე ფეხზე [დააყენოს ეს ჩამორჩენილი კუთხეები. ვიდრე ამ საკითხს სათანადო ყურადღება არ მიექცევა—მანამ დუშეთისა და მისი მსგავსი მაზრები, ძველებურად იქნებიან დარჩენილნი უმწეოდ და მიუხედავად მუდარისა, ვერ ეღირსებიან ვერც მასწავლებლებს, ვერც ექიმებს, ვერც მოსამართლეებს და ვერც სხვა თანამშრომლებს.

მესამე უბედურება დუშ. მაზრისა მდგომარეობს კულტურულ ძალების უყოლობაში. მიუხედავათ იმისა, რომ ფედერალისტები დიდ აგიტაციას ეწევიან მოსულებისა და იმერლების წინააღმდეგ—მაზრაში მაინც არ მოიპოვება ძალები, რომლითაც შეეძლოთ თუნდა პატარა საქმეების გაძღოლა. არამც თუ სპეციალურ დარგისთვის—თემებისთვისაც ვერ გამოგვინახნია თავმჯდომარეები. მასწავლებლები ხომ სანთლით საძებარნი გაგვიხდნენ და 44 სასწავლებელი ჯერაც უმასწავლებლოთაა დარჩენილი.

მაისში მოვახდინეთ ხმოსანთა არჩევნები, მაგრამ თემები ჯერაც არა მუშაობენ, ხელმძღვანელის უყოლობის გამო. ადგილობრივ ვერ ვიშოვნეთ ვერც სხვა დარგში გამოსადეგი პირნი, არამც თუ იმერელს, გადამთიელსაც კი ორივ ხელებით მივეგებებოდით, ოღონდ მოეხედნა და საკეთილოდ მოსულიყო.

თუ ასე დაცალიერებულია მომზადებული პირებისაგან მაზრა—გასაკვირველი არ არის, რომ ამ უპატრონო კუთხეში ადმინისტრაცია და მილიცია ნიაზებზე ხარბნი იქნებიან. თუ სხვაგან უკვე თანდათან ასუსტებენ მექრთამეობას—ეს დუშეთის მაზრაში დაურღვეველია და მტკიცე, ვით ათი მცნება. კომისრებად მოვიწვიეთ ყველა ჯურის კაცები, მაგრამ, რომ იტყვიან „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო“, ის დაგვემართა. ყველამ გვიღალატა. უკვე იმედი გადაგვიწყდა ისეთი ადამიანის შოვნისა, რომელიც, მართალია ქრთამს აიღებს, მაგრამ ზომიერად და არა ათი ათასობით. ადმინისტრაცია საფუძველია მშვიდობიანი ცხოვრებისა და სადაც ეს მოშლილი, იქ ფართო ასპარეზი აქვს ყაჩაღთა თარეშს და პროვოკატორების აღვირახსნილობას.

დუშეთის მაზრას შუბლზე სწერებია: სხვა უბედურებათა შორის, ყაჩაღობამ უნდა გამანადგუროსო.

კარგა ხანია შემდგარია ბრბო ყაჩაღებისა და იკლებენ ყველას, ვისაც მოახელებენ. ესენი არ არიან შემთხვევით თავმოყრილი ელემენტები, რომელთაც აერთებს მარტოდ-მარტო წაგლეჯის ჟინი. დანამდვილებითაა გაგებული, რომ მათ ბოლშევიკებთანა აქვთ კავშირი. ზოგჯერ მათი მეთაურები პირდაპირ აცხადებენ, რომ იგინი ბოლშევიკები არიან. დაბა ახალ გორს როცა დაეცნენ, მაღაზიებიდან რაც შესძლეს ხომ წაიღეს, რაც არა და გლეხებს დაატაცვინეს. ყველა მათ, ვინც ჩივის გადასახადის სიდიდეს, ასე ანუგეშებენ. ნუ გეშინიათ, დიდხანს არ იბოგინებს მთავრობა, მალე დავამხობთო.

გარდა ყაჩაღებისა, ამ ბოლო დროს ამუშავდნენ „იდეიური“ ბოლშევიკებიც. ჩვენ ცნობა გვაქვს, რომ მაზრაში ფარულად დაძრწის რამდენიმე პროპაგანდისტი და სიტყვიერი ქადაგების გარდა, არიგებს ფურცლებსაც. მრავალ ფურცელთა შორის აღსანიშნავია კომუნისტების კავკასიის საოლქო კომიტეტის ფურცელი „დუშეთის მაზრაში 1918 წ. მომხდარ გლეხების აჯანყების გამო“. აქ სხვათა შორის შემდეგი სწერია: „გერმანიის არტილერიამ ადვილად სძლია უმეტეს შემთხვევაში კეტებით და ნამგლებით შეიარაღებულ დუშეთის მაზრის გლეხობას“.

„ახლად გამოჩეკილი მენშევიკების ჯალათი და ჟანდარმი ჯუღელი განურჩევლად ხვრეტდა და ახრჩობდა ყველას, ვინც ხელში ჩაუვარდებოდა“.

უნდა ვთქვა, რომ ბოლშევიკები ასეთი ფურცლებით თავიანთ თავს უფრო მეტს ზიანს აყენებენ, უარესად იტეხენ აზრუს. ვალიკო ჯუღელს კი ხალხის თვალში ჩირქს ვერ მოსცხებენ. ჯერ ისევ შარშან, არც კი შეწყვეტილიყო დუშეთის მაზრის მთებში ზარბაზნების გრიალი, რომ ვ. ჯუღელის სახელი რომანტიული შუქით შეიმოსა. გაავთრებულ გლეხებს წინ ეღობებოდნენ ის გლეხები, რომლებთანაც ვალიკოს უკვე მოესწრო ლაპარაკი და ამშვიდებდნენ: რას სჩადით, ხალხო, მოუტყუებივართ, გვარდიას ანგელოზივით კაცი მოუძღვის და ის თავის დღეში არ მოიწადინებს ჩვენს დაღუპვასაო.

ახლა ხომ მისი სახელი თითქმის ლეგენდარულად არის გადაქცეული და მისს გმირობას ბევრი ჩანგურზედაც დამღერის. ცხადია, ისე საზიზღრად მოხსენიება საყვარელი სახელისა—შეაშფოთებს და მე მართლაც ვნახე გლეხები, რომელნიც ამბობდნენ: ვაი დედა მათისას, თუ ხელში ჩაგვიცვივდნენ ეს ბოლშევიკები, ჩვენ უჩვენებთ სეირსაო. ყველა წინდახედული გლეხი გრძნობს, რომ ბოლშევიკები ხეირს არას დააყრიან და აცხადებს: არა შვილოსან, ველარ მოგვატყუებთ, გავიგეთ და ვიწვნიეთ თქვენი სიკეთეო.

ასე მსჯელობს მოწინავე ნაწილი დუშეთის მაზრის გლეხობისა, მაგრამ როგორც ზევით აღვნიშნე, უმეტესობა ბნელია, შეუგნებელი, ბევრს ჭკვა თვალებში აქვს და ადვილად ითვისებს მაცდურს ქადაგებას.

ნათქვამია, ბევრი „ვოიში“ ხარს უკულმა წაიყვანსო. გამუდმებული ჩიჩინი და ყვირილი იმის შესახებ, ვითომც ჩვენი მთავრობა „იწვევდეს დენიკინის ბრბოებს მუშების და გლეხების რევოლიუციის ჩასაქრობათ“—შეიძლება მართლა დაიჯეროს ხალხმა, თუ არ მოვხადეთ ნიღაბი ამ სალახანებს და არ დავანახვეთ ხალხს მათი ვერაგი სახე, სამწუხაროთ, ეს ფრიად გაგვიძნელდება, ვინაიდან ჩვენ ძალიან მცირე ინტელიგენტური ძალები გვყავს, ხოლო ფედერალისტები... ფედერალისტები ბოლშევიკების ანსამბლს ხელს უწყობენ. ჩვენ არ გვახსოვს დრო, რომ ფედერალისტებს ბოლშევიკურ ჰანგებზე არ ემღეროთ. იგინი ბოლშევიკებათ ევლინებოდნენ ხალხს და ჩასჩიჩინებდნენ: გონს მოდით, მტერ-მოყვარე იცანით, მთავრობა გღუპავთ, გადასახადებით სულს გართმევთ, ბოლშევიკები ათასჯერ სჯობიან სოციალ დემოკრატებს და სხვა. ერობა ხომ თვალში ძეძვის ეკლათ მიიჩნიეს. ათასს ცილს სწამებენ და უფრო უძნელებენ მძიმე ჯვრის ზიდვას. მე დღემდე აღშფოთებული ვიყავი ამ გარემოებით და ვამბობდი: ფედერალისტების მთავარმა კომიტეტმა რომ იცოდეს ამ წვრილფეხა ფედ ბის ოინები უეჭველათ შესთურ ქავდა მეთქი, მაგრამ დღეს დავრწმუნდი რომ უფროსები უარესები ყოფილან. დღეს დამფ. კრებაში ბ. სამსონ დადიანმა სხვა ჭორთა შორის შემდეგ სიცრუე აავორა: დუშეთის მაზრაში არჩევნების დროს სოც.-დემოკ. პროპაგანდისტთან მოჰკლეს ჩვენი პროპაგანდისტი, ჩვენ ეჭვი ს. დ. პროპაგანდისტზე მივიტანეთ მაგრამ არ დაგვცალდაო. მე ამ საზიზღარ ბრალდებას არ მივაქცევდი ყურადღებას, მაგრამ რაკი ამას მაზრაშიაც გაჰყვირიან, უნდა განვაცხადო, რომ 1) ფედერალისტი პროპაგანდისტი როცა მოუკლავთ იმ წუთს მასთან არა ყოფილა ის პირი, ვისზედაც ლაპარაკობს ბ. დადიანი, 2) ეს პირი არაა ჩვენი პროპაგანდისტი, ის მხოლოთ ჩვენი თანამგრძნობია და 3) სასამართლოს გაურჩევია ეს საქმე და ეჭვ მიტანილი უდანაშაულოდ უცვნია.

თუ ასე უტიფრობს დამფ. კრებ. წევრი, რაღა უნდა იყოს საქციელი იმ პროვინციელ ფედერალისტებისა, რომელთა შორის ჯაშუშიც ურევია, პოლიციელიც და სხვა ეშმაკებიც. ვინ უნდა „იბოლშევიკოს“ თუ არა ასეთი წარსულის მქონეებმა და აკი მათთან შეხმატკბილებით „მუშაობენ“ კიდეცა მაზრაში.

ფედერალისტებს „ოპოზიციონერობაში“ ეჯიბრებიან ეროვნულ-დემოკრატები, მღვდლების ლოცვა კურთხევით.

ყველა ეს ვაჟბატონები განსაკუთრებულის აღტაცებით ამუშავდნენ, როდესაც შეცდომით გამოიცა მიწად-მოქმედების მინისტრის მიერ განკარგულება ნადირსა და ტყის ხილზე ბეგარის გადახდის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს განკარგულება უკვე გაუქმებულია—მაინც არა სცხრებიან და აღელვებენ ხალხს: აი, რა გიყოთ პირველმა ნომერმა: ჩვენ თურაშაულებს გვირდებოდით მუქთად, ეგენი მაჟალოსაც არ განებებენ უფასოდაო.

თუ ასე იქცევიან ისინი, რომელთაც „დიდი პრეტენზიები“ აქვთ ხალხის მეგობრობისა—რაღა უნდა მოვთხოვოთ უბრალო მოხელეებს.

ვისაც აინტერესებს ზნეობრივ-გონებრივი სიკოტრე მოხელისა—მოვიდეს მაზრაში და გაბედნიერდება მათის გაცნობით.

მიწის მზომელი, ტეხნიკი, ადმინისტრაციის მოხელე, მასწავლებელი, ფერშალი, მომრიგებელი მოსამართლე და სხვადასხვა, ერთი მეორეს ეცილებიან ნაირ-ნაირ სისაძაგლის ნიჭის გამოჩენაში. თუ ერთი ლოთობის მეტს არას აკეთებს, მეორე ქრთამის აღებაში იღებს რეკორდს, თუ მესამე მთავრობის, ან ერობის კიცხვაში ატარებს ყოველ დღეს, ნაცვლად მართლ-მსაჯულებისა, მეოთხე ერთშიაც იჩენს „ვაჟკაცობას“ და მეორეშიაც.

დიდი უსამართლობა იქნება, რომ ამ „შესხმაში“ ჩვენი მხედრობის „ღვაწლი“ არ მოვიხსენიო. მოვიხსენიებ კერესელიძის რაზმს, რომელსაც მარტო რამდენიმე დღე მოუხდა მაზრაში ყოფნა და უკვე „შარავანდედით“ შეიმოსა სახელი. დუშეთის მაზრის ერობის გამგეობაში შემომჩივლეს, რომ კერესელიძის რაზმის აფიცრები ანანურში ხვდებოდნენ მოხევეებს და მთიულებს, ართმევდნენ საზვრეოდ ცხენებს და ვისაც ფული ჰქონდა მარტო მითი იხსნიდა ხოლმე თავსო. ცემა ტყეპა ხომ ის დაუვიწყარი ყოფილა, რომლითაც „ეალერსებიან“ ხოლმე ისეთს დაბეჩავებულს ხალხს, როგორიც არიან დუშეთის მაზრელი გლეხები.

როგორც ხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ფრიად ღარიბია დუშელი, მაინც ყველა მას იჩათინებს, მისს ჯიბეში ხელს აფათურებს. ამიტომ აღარ მიკვირს ის სიტყვები, რომელსაც არა ერთი გლეხისგან გაიგონ ბთ: რა ვიცით, რაღა გადასახადე[illegible] გვთხოვთ, სამი იმდენი უკვე ეგვაძრეს სხვა და სხვა ეშმაკის კერძებმა.

ასეთია მდგომარეობა დუშეთის მაზრისა.

მომავალი? მომავალიც, თუ უარესი არა, უკეთესი არ გვეხატება.

პირველ ყოვლისა სასწაული ვერ მოხდება და ასე მალე მაზრას ვერ გაუჩნდება ღირსეული კულტურული ძალები, რომელნიც ერობის გამგეობას შეეშველებიან ძნელს საქმეში. მეოთხე: ხრიოკი მთები ოქროს ზოდებათ არ გადაიქცევიან, რომ მისი შემწეობით სურსათის მოგვარება მაინც შესძლოს ერობამ და მაზრა გადაარჩინოს სიმშილს. ჯერ შარშან ვერ გაუძლეს მთიულ მოხევეებმა და ზოგი იძულებული გახდა ლუკმა პურის საშოვნელად კავკავს გადახვეწილიყო. წელს, როცა ნაკლები მოსავალია ყველგან, დუშეთის მაზრის გაჭირვება უმაღლეს წერტილს აღწევს. კანკალი მიტანს, როცა წარმოვიდგენ მომავალ წელს მთაში. აბა ვინ მიჰხედავს ბედკრულებს, ვინ დააპურებს?

ჭეშმარიტად, დიდსულოვანი უნდა იყოს ხალხი, რომელიც იტანს ყველა ამ გაჭირვებას იმ რწმენით, რომ ეს დროებითია და როგორც კი მიეცემა საშუალება ჩვენს მთავრობას, უმალვე გაუწოდებს დახმარების ხელს.

ნათქვამია, ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგი გამოცხვაო. ნეტავი კი გამოცხვეს დუშეთის მაზრის კვერი და მისს სიავ-კარგეს არ დავეძებდით.

დ თურდოსპირელი

## გამგზავრება

მივალ!—აბა, მეჯინიბევ!
გამომგვარე რაში,
რაში, რომ სულ ნავარდობდეს,
თამაშობდეს გზაში!

მალე, მალე, მეჯინიბევ!
მალე, გენაცვალე!
კვნესა მღერად შემიცვალე!—
ცრემლი შემიშრალე!

აბა, გასწი, ჩემო ლურჯავ!
გასწი, თუ გიყვარდე!
ნიავ ქართან მანავარდე!—
მეყო რაც ვიდარდე!

ჰერი! ჰერი! ფრთა გაშალე!
ჰერი, ცხენო, ჰერი!
ველარავინ შემაჩერებს,—
მივალ! მივიმღერი!

მივალ! თავი დავაღწიე
ზრუნვას ყოველ დღიურს!
ჩანგიც ჟღერის,
გულიც მღერის
ჰანგებს ზე ქვეყნიურს!

გ. ქუჩიშვილი.

20 აგვისტო.

## ლონგინოზ რამიშვილი

26 სექტემბერს, შუადღისას ქ. ოზურგეთში ხულიგანების მსხვერპლი გახდა საუკეთესო გვარდიელი, ლონგინოზ რამიშვილი. რამდენიმეჯერ თოფის ხმა გაისმა, მივარდით მაშინვე და ვნახეთ შემზარავი სურათი: მოეკლათ ჩვენი თავდადებული გვარდიელი ლონგინოზი. პირიდან სისხლი ამოსდიოდა სიტყვაც არ უთქვამს უკანასკნელათ... ამ საზიზღარმა მკვლელობამ ხალხი ააღელვა. დამნაშავე გაქცეულია.

27 სექტემბერს დილით დიდ ძალი საზოგადოება დაესწრო ქ. ოზურგეთისა და ახლო სოფლების და საუკუნოთ გამოეთხოვა მას. ოზურგეთის მაზრის ს. ს. დ. მ. პ-ის კომიტეტის პრეზიდიუმის და სახალხო გვარდიის სამაზრო შტაბის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მიხა ბაქენაიშვილმა. ასეთივე შინაარსიანი სიტყვით ესალმება ოზ. ქალაქის თვითმართველობის სახელით ქალ. თავი გიორგი მურვანიძე და სამაზრო ერობის სახელით სიო ჰანტურიშვილი. საზოგადოება თვალ-აცრემლებული დასცქერის მის ღირსეულ წევრს, რომელმაც სისხლით დაამტკიცა ხალხის სიყვარული. ის წაასვენეს თავის სამშობლოში, (ზემო გურიაში, ს. სურებში) სადაც სამუდამოთ მოისვენებს და ველარ იხილავს ვერავითარ უსამართლობას. ქ. ოზურგეთის რაიონის დემოკრატია და რესპუბლიკის დამცველი შეიარაღებული ძალა სამუდამოთ გამოეთხოვა, იმ იმედით, რომ გააკეცებული ენერგიით შებრძოლონ ყოველ-გვარ შავ-რაზმელებს, რომლებმაც თავის განდიდებისთვის ასეთი უმანკო სისხლი დაღვარეს.

სიმონ სურგულაძე.

## წერილი ფრონტიდან

რაც მეტს სდგეხარ შავი ზღვის ფრონტზე, საცა რამოდენიმე ათასეულები სდგას გვარდიელებისა და ჯარისკაცებისა. უყურებთ თავდადებულ მუშაობას, მსჯელობას და სხვას, მით უფრო რწმუნდები, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია, რომ შავი რეაქცია ვერ ეღირსება ამ ფოლადის ზღუდის გადალახვას. სიხარულის ცრემლები მოგდის თვალებზე, როდესაც უყურებ ოფიცრს, ინტელიგენტ ოფიცრს, სპეციალურ საინჟინერო სასწავლებელ გათავებულებს, როგორ ეწევიან იმავ მუშაობას და აკეთებენ ბეტონის სიმაგრეებს და თხრილებს. ამ მხრივ სამაგალითონი არიან ის საპიორის გუნდნი, რომელნიც აქ დგანან. სიხარულით უყურებ ჯარისკაცს, რომელიც გვერდში ამოსდგომია გვარდიელებს და ჩვენს ქვეყანას იცავს არამკითხე მეპატრონეთაგან.

აგერ გამოჩნდა ჩვენი ჰაეროპლანი: „ჰო, შენი ჭირიმე, აგრე, ჰო,—გაისმის ჩემს გვერდით,—დაანახე, დაანახე განაცვა ქვეყანას, რომ ჩვენცა ვართ მეომრები“. აგერ მოსრიალდა ტარილი. „ჯან, ჯან,—იძახის მეორე,—პატარაა, მაგრამ გინდა დრედნოუტს დავეჯახოთ: ხომ გაგიგონია, ბიჭო, დიდია და აბმახიო, პატარა და ჩახმახიო, აი ეს არის,—ეუბნება ერთი თავის ამხანაგს. ექიმები, მოწყალების დები, რომელიც 24 საათს განუწყვეტლივ მუშაობენ, აბა რომელი ერთი ჩამოგითვალო და რა გულქვა უნდა იყო, რომ ამას უყურო და შენი გულიც არ გასალკლდევდეს და გააფთრებით არ გეწეოდეს ბრძოლის ველისაკენ.

16 სექტემბერს მოხდა სამტრედიის ბათალიონის კრება, სადაც მთავარ შტაბის წევრმა დ. სალირაშვილმა გააკეთა მოხსენება მომენტზე შეკითხვების შემდეგ გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: „სამტრედიის ბათალიონის აფიცერთა და გვარდიელთა კრებამ მოისმინა რა მოხსენება მომენტზე მთავარი შტაბის წევრის დ. სალირაშვილისა, დაადგინა: „სამტრედიის გვარდია, როგორც ერთი ერთეული, მუდამ მხარში ედგა საქართველოს რესპუბლიკის გმირ სახალხო გვარდიას და იცავდა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობას, აგრეთვე რევოლიუციის ყველა მონაპოვართ.—ის ეხლაც მზათ არის დაიცვას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა—მშრომელი ხალხის ინტერესები. ის მხარს დაუჭერს საერთაშორისო პროლეტარიატს, როგორც დემოკრატიის ღვიძლი შვილი, მის კლასიურ მოთხოვნილებებში და მასთან ერთად იბრძოლებს ბოლოო მიზნის სოციალიზმის განახორციელებლათ“.

გ. ა—ბელი

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 2 ოქტომბერს შესდგა მე 6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა ამხ. ვ. ინწკირველის თავმჯდომარეობით. სხდომას დაესწრო 7 წევრი. პირველად მოსმენილ იქნა წინა სხდომის ოქმი, რაც კრებამ დაამტკიცა უცვლელად. კოლექტივის რეგლამენტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ინწკირველი, აცნობს კრებას პრეზიდიუმის მიერ შემუშავებულ პროექტს რეგლამენტისას. კოლექტივი იხილავს რეგლამენტს მუხლობრივ. რამოდენიმე შესწორება განმარტების შემდეგ რეგლამენტი დამტკიცებულ იქნა. შემდეგ კითხვად მოსმენილ იქნა თფილისის კომიტეტიდან ამხ. ან. გოჩიტაშვილის მოხსენება. ჩან გაარკვია კომიტეტის სხდომაზე განხილული კითხვები. შეკითხვა განმარტების შემდეგ კოლექტივი ამტკიცებს მოხსენებას. საორგანიზაციო კომისიის მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ აფაბეგოვი ის აცხადებს, რომ გასულ კვირას მუშათა კლუბის შენობაში შესდგა მე 5 სამილიციო უბანში მცხოვრებ პარტიულ მოწინავე ამხანაგების კრება, სადაც გამომუშავებულ იქნა მცირე-კოლექტივის რეორგანიზაციის ყველა ტექნიკური საკითხები. ამასთანავე დანიშნულ იქნა კვირას, 5 ოქტომბერს მუშათა კლუბის შენობაში დასახელებულ უბნის პარტიის წევრთა საზოგადო კრება, სადაც მოსმენილ იქნება მოხსენებები მიმდინარე მომენტზე ქართულ და სომხურ ენებზე და ბოლოს არჩევნები მცირე კოლექტივის წევრებისა. საორგანიზაციო კომისია წინადადებას იძლევა ეხლავე დაასახელოს კოლექტივმა ამ კრების მომხსენებლები. კოლექტივი ღებულობს მოხსენებას და ავალებს კულტურულ-განმანათლებელ კომისიას გამონახოს მომხსენებლები.

ბინის კომისიის მოხსენებას აკეთებს ამხ. ალიხანოვი, რომელიც აცხადებს, რომ ეს კითხვა, მუშათა კლუბის ბინა, საბოლოვოდ გამოირკვევა ხვალ ქალაქის გამგეობის მორიგ სხდომაზე. კომისიის მიერ მიღებულია ყოველივე ზომები. კოლექტივი ღებულობს მოხსენებას და ავალებს ამხ. მ. ნაკაიძეს, როგორც მდივანმა გააცნოს გამგეობის საჭირო წევრს საქმის ნამდვილი ვითარება. დარჩენილი კითხვები გადაიდო შემდეგ სხდომისთვის.

მდივანი მ. ნაკაიძე.

კლდეეთის საზოგადოება. (შორაპნის მაზ.) 11 ენკენისთვეს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. კლდეეთის საზოგადოების კოლექტივის კრება. კრებაზე სხვა კითხვათა შორის გასარჩევი იყო ამხ. ალ. კამლაძის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა სხვადასხვა მუშაობის დროს ანტიპარტიულ მოქმედებაში. საქმის შინაარსის გამოკვლევის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კრებამ მიიღო შემდეგი: „კლდეეთის საზოგადოების კოლექტივმა განიხილა რა ამხ. ა. კამლაძეზე წამოყენებული ბრალდებები, დაადგინა: კამლაძე თავისი მოქმედებით ჩირქს სცხებს პარტიულ სიწმინდეს, რისთვისაც კოლექტივმა იგი გამორიცხა პარტიის წევრობიდან“.

წვრილი ერთეულისათვის კანდიდატების დასასახელებლად, კრებამ დაადგინა, მოწვეულ იქნას უფრო ფართო კრება სოფლის ორგანიზაციების (ქვე-კოლექტივების) წარმომადგენლებთან ერთად.

დამსწრე

თფილისი. 1 ოქტომბერს შესდგა რკინის გზის სამმართველოს რაიონის პარტიის წევრთა საერთო კრება. უმთავრესი საკითხი იყო ქვე-კოლექტივის წევრთა ხელ-ახალი არჩევნები.

როგორც იქნა ამ კრებამ გამონახა საერთო ენა, დავიწყებულ იქნა ჯგუფური კინკლაობა და არჩევნები წესიერათ ჩატარდა. ქვე კოლექტივის წევრებათ არჩეულ იქნენ ს. თავაძე, ნაცვლიშვილი, ჯვარშეიშვილი, ბილანაშვილი, არ. რუხაძე, ქეშიშოვი, კაჭარავა, წილოსანი, ზამთარაძე, რობაქიძე და ლომიძე, ხოლო კანდიდატებათ კი, დ ელენტი, ს. ტომარაძე, ნიკოლაიშვილი და კახეთელიძე.

ვუსურვოთ ახლათ არჩეულ ქვე-კოლექტივს, რომ მას სასურველად დაეყენებიოს პარტიული მუშაობა. X.

თფილისი. 30 სექტემბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონთან არსებულ ახალგაზრდა მარქსისტთა წრის საზოგადო კრება ამხ. ნ. სხულუხიას თავმჯდომარეობით.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება მესამე რაიონის კოლექტივიდან. 2) პარტიული მუშაობის გაძლიერება, 3) ანგარიშების განხილვა, 4) სახელმძღვანელო ორგანოს არჩევა (რეორგანიზაცია) და სხვა მიმდინარე კითხვები.

ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის დავალებით მოხსენებას აკეთებს ამხ. ნ. სხულუხია, რომელიც აღნიშნავს, რომ საერთოდ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამ დღიდან დაარსებისა [illegible] კავშირი ჰქონდა კოლექტივთან და მუშაობა იყო [illegible] ხანში [illegible] ორგანიზაცია დაშლის გზას დაადგა, რაც გადახალისებას საჭიროებდა. უმთავრესი მიზეზები ამისა იყო პირველი მთავარი მიზნის გვერდის ახვევა და მეტი დრო და ენერგიის ხარჯვა მეორე ხარისხოვან საქმეებში, მეორე, ამხანაგებში ცოტათ თუ ბევრათ უთანხმოების ჩამოვარდნა. როგორც პირველი, ისე მეორეც, არა სასურველ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს და იმედს გამოსთქვამს, შემდეგში მას ადგილი არ ექნება.

გააცნო კრებას კოლექტივის შეხედულება, რომ კოლექტივი დაინტერესებულია ადგილობრივი ახალგაზრდა მარქ. ორგანიზაცია ემსახურებოდეს მარქსისტულ მიზნებს და იდეიურ მოქმედებით იდგეს ჯეროვან სიმაღლეზე. თავის მხრით კოლექტივი მზათაა გაუწიოს ყოველივე დახმარება.

ბოლოს მოუწოდებს დამსწრეთ, უკუაგდონ ყოველივე კერძო პიროვნებათა ჟინიანობა და შეკავშირებულ ენერგიით მოკიდონ ხელი მუშაობას. მოხსენება მიღებულ იქნა და კრება გადავიდა მორიგ კითხვაზე.

მეორე კითხვის შესახებ, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, გამოირკვა რომ, აუცილებელია მთავარი ყურადღება მიქცეულ იყვეს მარქსისტულ თეორიის შესწავლაზე, იკითხებოდეს ხშირად რეფერატები, ლექციები, იმართებოდეს დებატები და სხვა. რაც შეეხება თეატრალურ ცხოვრებას, ხელოვნებას, მუსიკას და სხვ., თუმცა ეს უნდა იდგეს მეორე რიგში, მაგრამ ორგანიზაციამ ამის შესწავლასაც უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

მესამე კითხვა ეხებოდა ანგარიშებს. გამოირკვა, რომ შემოსავალ-გასავლის ანგარიშები ეთანხმება კასის ნაშთს, თავის წესით ჩაწერილია წიგნაკებში და ყოველივე გასავლის საბუთებიც აღმოჩნდა. საბოლოოდ ანგარიშების განსახილველად და საზოგადო კრების წარსადგენათ არჩეულ იქმნა სარევიზიო კომისია, რომელშიაც შედიან: ბერაძე, ჩუთლაშვილი და კაკიაშვილი.

მეოთხე კითხვად იდგა რეორგანიზაცია ხელმძღვანელ ორგანოსი, რომელიც შემდეგი კრებისთვის გადაიდო, მანამ არჩეულ იქმნა დროებითი საორგანიზაციო კომისია, რომელშიაც შედიან: კ. სხირტლაძე, მ. სულთანიშვილი, ერაძე, გელოვანი, მაისურაძე და მჭედლიშვილი.

მდივანი ალ. ერაძე.

## მუშათა შორის

ავლაბრის მუშათა კლუბი. 21 ენკენისთვეს შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო წევრთა დიდი უმრავლესობა. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. მ. წიწვიძე, მდივნათ ოლ. ბაქრაძე.

განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) ძველი გამგეობის მოქმედება, 2) დროებითი გამგეობის მოხსენება, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები. მომხსენებელი ამხ. იოსებ ხუციშვილი კრებას აცნობს შემდეგს: ეს შენობა იყო კერძო პირის ხელში, აქ იმართებოდა გასართობები, რომელნიც ცუდ გავლენას ახდენდა ადგილობრივ დემოკრატიაზე. ამის მიხედვით, მოწინავე ამხანაგებმა ანდრო ვაშაკიძემ და არშაკ მარქაროვმა შუამდგომლობა აღძრეს სადაც ჯერ იყო და შენობას რეკვიზიცია უქნეს. ამის შემდეგ, ე. ი. 1918 წ. ჩვენ შევკავშირდით, შევადგინეთ გამგეობა, რომელიც შეუდგა მუშაობას, მხოლოდ შემდეგში გამგეობის მუშაობა მიწყდა, რადგან გამგეობის ზოგი-ერთი წევრნი წავიდნენ ფრონტზე. კლუბის ბედი ისევ სასწორზე დაიდვა, რადგან პატრონი აღარავინ სჩანდა, გამგეობის ერთ ერთი წევრი მოვიდა სახალხო გვარ. შტაბის თავმჯდომარესთან და განუცხადა, რომ თუ კლუბს თქვენ არ აიღებთ, ისევ კერძო მოიჯარადრეს ჩაუვარდება ხელშიო. ჩვენ ამ განცხადებას ანგარიში გაუწიეთ და შევადგინეთ დროებითი გამგეობა, რომელმაც დაიწყო მოქმედება. დროებითმა გამგეობამ სულ სამი თვის განმავლობაში დასდგა 31 წარმოდგენა ფასიანი, ორი წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით. მოაწყო „ფრონტის დღის“ დღესასწაული, შეიძინა ინვენტარი, კლუბს გაუკეთეთ აუცილებელი რემონტი, ვაწარმოვეთ შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, რომლის ყველა საბუთები გადასინჯული აქვს სარევიზიო კომისიას. 21 თიბათვიდან კლუბს აქვს შემოსავალი ღღევანდლამდის 20,853 მანეთი, ამას დავუმატებთ იმ ჯამს, რაც ძველ გამგეობიდან მივიღეთ, ე. ი. 631 მანეთი და 79 კაპ. სულ 21484 მ. 70 კ., აქედან დაიხარჯა 16001—20 კ., ნაღდი ფული აქვს დღეს მუშათა კლუბს

5483 მ. 50 კ. კრებას შეუძლიან გადახედოს ინვენტარს და იმ ქონებას, რაცა აქვს საზოგადოთ შეძენილი მუშათა კლუბს ამ სამი თვის განმავლობაში, რომლის აღნუსხვა თავისი საბუთებით წარდგენილი აქვს სარევიზიო კომისიას.

სარევიზიო კომისიის წევრი ამხანაგი ს. მურმანიძე სავსებით კმაყოფილია დროებითი გამგეობის მუშაობით, მხოლოდ აღნიშნავს, რომ ძველი გამგეობის მიერ ნაწარმოები საქმეები მათ ვერ განიხილეს, რადგან ასეთის მომწოდებელი სარევიზიო კომისიისთვის არავინ აღმოჩნდა. ამ საკითხის შესახებ განმარტებას იძლევა ამხ. ან. ვაშაკიძე, ის ამბობს, რომ ძველ გამგეობას მუშაობა უხდებოდა არანორმალურ პირობებში, მაგრამ ანგარიშები და საქმეები გამგეობისა მაინც არსებობს, რომლის წარმოდგენაც შემდეგში შესაძლებელი იქნება. ის ასახელებს ძველ გამგეობის წევრს ფირუმოვს, რომლის ხელშიაც იყო გამგეობის მთელი ნამუშავარი და შემოსავალ გასავალი. საზოგადო კრებამ ამის შესახებ იქონია მსჯელობა და დაადგინა შემდეგი: ვინაიდან საერთო ინტერესები კლუბისა მოითხოვს, წინადადება მიეცეს ძველი გამგეობის წევრთ, რომლებიც ამ ჟამად თფილისში არიან, წარმოუდგინონ მთელი მოქმედება და ანგარიშები მუშათა კლუბისა ახალ გამგეობას. კრებამ მოისმინა მოხსენება ძველი გამგეობის შესახებ, მოისმინა აგრეთვე მოხსენება დროებითი გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და გადავიდა შემდეგ საკითხზე. გამგეობის არჩევნების დაწყებამდის, კრებამ გადასინჯა კლუბის წესდება და მცირე შესწორებანი შეიტანა შიგ. გამგეობის შემადგენლობაზე კრებამ მიიღო, 15 კაცისაგან იქნეს შემდგარი ახალი გამგეობა. დასახელებულ იქნენ შემდეგი პირნი, რომლებიც იქნენ არჩეულნი გამგეობაში: მ. წივწივაძე, ი. ხუციშვილი, ან. ვაშაკიძე, ნ. სხულუხია, არ. ალაფოვი, ი. ბარამაშვილი, ს. ბექაშვილი, თ. ხაჩიკოვი, ნ. ბედენაშვილი, ნ. მიქაძე, კ. მელქუმიანცი, ს. ამბარცუმოვი, ი. მენაბდიშვილი. კანდიდატებათ: ტოროშელიძე, ლ. ხეჩიაშვილი და გ. კამკამიძე. სარევიზიო კომისიაში ერთხმად არჩეულ იქნენ: ამხ. ს. მურმანიძე, არ. უმბრაევი, ლ. დოლიძე და აუშტროვი. დასასრულ თავმჯდომარის წინადადებით კრება სალამს უძღვნის გამგეობის იმ წევრთ—გვარდიელებს, რომლებიც ამ ჟამად იმყოფებიან ფრონტზე.

კრების დახურვის შემდეგ ახალმა გამგეობამ აირჩია თავისი პრეზიდიუმი, დანიშნა მორიგი სხდომების დღე და დაიშალა იმ იმედით, რომ მომავალში ავლაბრის მუშათა კლუბი დაადგება ფართე აღორძინების გზას.

ვერხვი.

## პროვინცია

ზოსლევი (შორაპნის მაზრა). 27 სექტემბერს მოხდა ამ საზოგადოების მცხოვრებთა საზოგადო ყრილობა, რომელზედაც დაესწრო სამაზრო ერობის თავმჯდომარის ამხანაგი ს. მენაღარიშვილი. მან გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტზე, რომელშიდაც შეეხო საერთაშორისო და კერძოდ საქართველოს მდგომარეობას. ბოლოს კრების ყურადღება მიაქცია მომავალ თემის არჩევნებს და მოუწოდა ხალხს, მიიღონ არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა. ამის შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები, რომელნიც უმთავრესად შეეხებოდა ერთდროულ გადასახადს და სხვა. რაზედაც მომხსენებელმა უპასუხა. ბოლოს გაიხსნა კამათი, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლებმა. ს. დემოკრატიული პარტიის სახელით ილაპარაკა ამხ. ა. ებ—ძემ, რომელმაც აღნიშნა, რა წვრილი ერთეულების დიდი მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში, დაასურათა ამ პარტიის ღვაწლი საერთოდ რევოლიუციონურ მოძრაობაში და კერძოთ ამ უკანასკნელ ხანებში, როდესაც საქართველოს დემოკრატიას მოელოდა ყოველმხრით საშინელებანი. შემდეგ ილაპარაკეს ს. რ. და ს. ფ. სახელით ს. და ი. კაპანაძეებმა, რომელთაც, რა თქმა უნდა, დაფასეს ს. დ. პარტიის ღვაწლი, მაგრამ ვერ დაივიწყეს და მოიგონეს ძველის-ძველი „სიმღერა“ პროლეტარიზაციაზე და სხვა. ე.რ.-დემოკრატმა მახათაძემ ღვარა ცრემლები იმაზე, რომ ს.-დემოკრატები უფასოდ ართმევენ მემამულეებს მიწებს და აძლევენ გლეხებს, ჩვენ კი თავისუფალ გამოსყიდვას ვუცავთო და სხვ. ბოლოს მომხსენებელმა ვრცელი პასუხი გასცა მოწინააღმდეგეებს და მოუწოდა ხალხს შეგნებული და წინდახედული მოქმედებისაკენ.

დამსწრე.

ქ. ყვირილა. კვირას, 12 ოქტომბერს, დილის 10 საათზე შორაპნის საოლქო სახალხო გვარდიის შტაბი იწვევს ამავე შტაბის ბინაზე გვარდიელთა რწმუნებულების საოლქო ყრილობას. ყრილობაზე გაირჩევა სხვადასხვა საკითხები. ყრილობას დაესწრება სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარე ამხ. ვ. ჯუღელი.

თანახმად სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის განკარგულებისა შორაპნის საოლქო სახალხო გვარდიის შტაბმა უკვე აიღო თავის ხელში რკინის გზის ლიანდაგის დაცვა სად. წიფიდან სად. სვირამდე. მთელ რაიონში დაყენებულია 150 დე გვარდიელი. რკინის გზის ხაზის დამცველი გვარდიელები სასტიკ ყურადღებას აქცევენ რკინის გზის ლიანდაგის დაცვის საქმეს. იჭერენ ყველა შენიშნულ პირებს და ადგენენ გვარდიის შტაბში.

სვირის ხიდზე მდგომ გვარდიელებმა 28 ოქტომბერს შეიპყრეს ძროხის ქურდი მახათაძე, რომელსაც მოპარული ძროხა მიჰყავდა ქუთაისში გასასყიდათ. გვარდიის შტაბმა სათანადო ოქმით გადასცა დამნაშავე ადმინისტრაციას; აგრეთვე შეპყრობილ იქნენ დეზერტირები, რომლებიც გადაეცნენ სამხედრო უფროსს.

მეთვალყურე.

ნატანები. 26 სექტემბერს ნატანების საბაჟოს დამხედველების და კონტროლიორების შეერთებული სხდომა მოხდა. საკითხი იყო ამ წლის საბაჟოში დაგროვილ კონტრაბანდა საქონლის და გაყიდულ საქონლის ფულის შესახებ. ამ წლის განმავლობაში ანგარიშის გაწესრიგება ჯერ არ მომხდარა და არც არავინ იცის თუ რა დანიშნულება აქვს ან დამჭერელისთვის და ან სხვისთვის. კანცელარიის მომუშავე მოხელენი ამ საქმეს თავის დროზე მსვლელობას არ აძლევდნენ. მაგრამ აქ სხვა პოლიტიკა ქონებიათ დასახული, რაც აშკარათ გამოამჟღავნეს სხდომაზე. მათ მოითხოვეს ორი წილი ზედმეტი, ვიდრე ეკუთვნით. დამხედველებს კი მცირე პროცენტი. მეორე განმანაწილებელს ზედმეტი შრომის ფული და ასეთები. ასე რომ დამხედველები, რომელთაც დაჭერაში შრომა მიუძღვის, დიდათ ჰკარგავენ მნიშვნელობას. ამან ცოტა შთაბეჭდილება იქონია. ბოლოს როგორც იქმნა მოხელეებმა მაინც თავისი გაიყვანეს ცოტა შეცვლით. და ასე დაადგინეს: პროპორციონულათ პროცენტები მიეცეს ჯამაგირისდა კვალობაზე. მოვაგონებთ ვისგანაც ჯერ არს, რომ შრომა, ჯაფა და თვალყურის დევნება კონტრაბანდაზე ყველაზე უფრო აწევს დამხედველებს და ასე ანგარიშის დროს წაჩოთქ წამოჩოთქვა საქმეს არ შეეფერება.

დამსწრეთაგანი.

გორი. 19 და 20 მკათათვეს „ფრონტის დღეები“ მხიარულად ჩატარდა. მცხოვრებლებმა დიდი თანაგრძნობა გამოიჩინა და რითაც შეეძლო თავისი წვლილი შეიტანა.

შემოსავალი: ბუფეტმა შემოიტანა 3123 მ.; ბილეთები გაიყიდა 5544 მ.; კლუბმა შემოსწირა 1750 მ.; მოსამსახურეებმა 209 მ.; დავით ამირაჯიბმა 300 მ.; ნინა ტერ აკოფოვამ 5 მ.; არტემ გიგაურმა 100 მ.; გიორგი ხალიანმა 50 მ.; კრუჟკებიდან ავიღეთ 4556 მ. 15 კ., ლატარიამ შემოიტანა 3596 მ., აუქციონიდან 500 მ. სულ 19,733 მ. 15 კ. გასავალი იყო 3431 მ. ნაღდათ დარჩა 16,302 მ. 15 კ.

ღვინო შემოსწირეს: დიმიტრი მაზარაშვილმა, იაკოფ ეგნატაშვილმა, სანდრო ჯოჯოშვილმა, ილიკო მურადოვმა თითო ვედრა. ტერ-სტეფანოვმა ექვსი ბოთლი ღვინო. „ფრონტის დღეების“ მომწყობი კომისია დიდ მადლობას უძღვნის ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ დიად მნიშვნელოვან დღეების მოწყობაში.

პრეზიდიუმი კომისიისა: მ. კობერიძე. მ. კინწურაშვილი.

მონასტერ-ჭანიეთური (სენაკის მაზრა). უღრმეს მადლობას უცხადებთ ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს, რომლებმაც კეთილ ინებეს და თავის ნათესავების ხსოვნის აღსანიშნავად შემოსწირეს მონასტერ-ჭანიეთურის ერთ კლასიან სასწავლებელს სულ 690 მან ეტიფანე დარჩიამ, ვარდო თოიძისა—კაისარ კვაჭაძის ასულის ხსოვნის აღსანიშნავად 150 მ. ამავე მიზნით ამხ. ბენია თოიძემ 100 მ. ლადიმერ, ილარიონ და ისიდორე ქარცივაძეებმა თავის დის კატო ვაშალომიძისას ხსოვნის აღსან. 150 მ. ამავე მიზნით გრიგოლ ქუთიამ 100 მ., მიხეილ წითლიძემ 100 მ., ალექსანდრე მახარაძემ თავის მონათლულის ვასო ქინქლაძის (მოწაფის) ხსოვნის აღსან. 50 მ., ერმილე ხავთასმა გიორგი ცერცვაძის ხსოვნ. აღსან. 40 მ. და სამკითხველოს 10 მ.

მონასტერ-ჭანიეთურის კლასთა საბჭოს მონდობილობით აკაკი პაპავა.

## ბიბლიოგრაფია

„აკაკი წერეთელი“, სილოვან ხუნდაძისა, ქუთაისი, 1918 წ., 152 გ.

ბ. სილოვანის მიერ შედგენილ „სახელმძღვანელოებში“ ეს წიგნი ყველაზე ვრცლადაა შედგენილი და მასთან უკეთესადაც, თუმცა ნაკლი მასაც მოეპოვება. პირველი და უდიდესი ნაკლი ის არის, რომ აკაკის შემოქმედების გაშუქების დროს შესაფერი ყურადღება არა აქვს მიქცეული მგოსნის ლიტერატურულ ღვაწლის მთავარ დამახასიათებელ თვისებას, სახელდობრ პატრიოტულ ლირიკას, პატარა ლექსებში უხვად ჩაქსოვილ გულმოკლულ მამულიშვილის ურმეს გრძნობას. აქ ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები თუ რა აზრის იყო აკაკი აწმყოზე, წარსულზე და როგორ უყურებდა მომავალს. სრულიად შეუსაბამოთაა გადატანილი „ალმართ-აღმართ“ მეოთხე განყოფილებაში; ეს შეუდარებელი ლექსი, რომელიც მსოფლიო მგოსანთ ხდის აკაკის, „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“-სთან ერთად მის პოეზიის ქვა-კუთხედად უნდა ჩაითვალოს. არც „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს“ არის თავის ადგილას განმარტებული. ბ. სილოვანი მართალსა ბრძანებს, როცა აკაკის მოქმედებაში მსოფლიო გოდების მოტივებზე ლაპარაკობს, მაგრამ კიდევ უკეთესი იქნებოდა ეჩვენებია თუ რა არის აკაკის ქმნილებებში ადგილობრივი, მარტო საჩვენო და რა არის საქვეყნო ლიტონი სიტყვა, მოგეხსენებათ, ნაკლები ღირებულებისაა.

მეორე დიდი ნაკლი—ეს აკაკის დროის დახასიათების სრული სიმკრთალეა. სამოციანი წლები და აკაკი წერეთელი განუყოფელი რამ არის და როცა მეორეს ვახასიათებთ, მაშინ პირველიც უნდა ვიცოდეთ. თავისმა დრომ აკაკი აიძულა ერთ და იმავე დროს პოეტიც ყოფილიყო, ჭკუის დამრიგებელი მასწავლებელიც, ეროვნული ტრიბუნი, პუბლიცისტი, ზნეობის მქადაგებელიც და რა გინდათ კიდევ. ვიმეორებ, თუ კაცმა არ იცის ის, თუ რას მოითხოვდა დრო აკაკისაგან, ისე ბევრ რამეში წუნს დასდებს მას.

სილოვანი უსაყვედურებს აკაკის—საზოგადოებას ის უყვარდა, ყოველგვარ დახმარებას უწევდა, მაგრამ აკაკის გულის მოგებას მაინც არაფერი ეშველა. ყველას ემდურებოდა, მუდამ უკმაყოფილო იყო და ერთ დროს ისიც კი სთქვა: „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო“-ო. ერთი რომ უკანასკნელი სიტყვები მთელ საქართველოს კი არა, თუ ჩავუკვირდებით, მარტო თავად აზნაურულ ინტელიგენტურ საქართველოს ეკუთვნის, საქართველოს იმ ნაწილს, რომელიც მაშინდელ საზოგადოებას შეადგენდა და რომელიც სწამლავდა მგოსანს; მეორე—საქმე იმაშია, რომ ბ სილოვანი ამ შემთხვევაში მეწვრილმანესავით აფასებს დიდი მგოსნის—დიდი სევდის—მატარებელ პიროვნების სულისკვეთებას. ჩვენი [illegible]ლი გოდების განსახიერება—აკაკი—რომ კმაყოფილებით აღვსილიყო, მაშინ არც ისე დიდებული და გულის გამგმირავი იქნებოდა. სწორედ ამ მუდმივ სამდურავის გამო იქცა აკაკი ქართველი ერის მამხილებელ სინიდისათ და ვინც ამას უსაყვედურებს აკაკის, ის ბუმბერაზ ადამიანს მეწვრილმანის ყანთარ ალამით უხლოვდება.

„ილიას გავლენა და მნიშვნელობა მომავლისათვის უფრო ხანგრძლივი და ძლიერი იქნება, ვიდრე აკაკისო“—ამბობს ბ. ხუნდაძე, რომელსაც ავიწყდება, რომ ციურის ნიჭით დაჯილდოვებულ ხელოვანზე აქვს ლაპარაკი. აკაკი, როგორც ხელოვნების უდიდესი ქურუმი, მარად ჟამს იქნება სათაყვანო კერპად მშვენიერების პანთეონში—მან უკვე ჰპოვა აქ უკვდავება და მისი შემოქმედების ხანმოკლეობაზე ლაპარაკი უვიცობაა.

ბ. სილოვანს არ მოუთმინა გულმა და დასელებსაც გადაწვდა ამ წიგნაკში. სახელმძღვანელო წიგნში პარტიული ანგარიშების გასწორება თუ რამოდენათაა მოსაწონი, ეს თითონ მკითხველისთვის მიგვინდვია.

ვარლამ ხუროძე.

## თეატრი და მუსიკა

კაპელას პირველი კონცერტის გამო.

აქამდე ჩვენ ვწერდით მხოლოდ პროვინციის და ფრონტის აღტაცებას, რომელიც კაპელამ დაიმსახურა ფართე საზოგადოებაში. პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტი, როგორც კაპელის დაარსებაა, თფილისიდან კი არ დაიწყო, არამედ დაბა-სოფლებიდან

ჩვენ გვესმოდა ქება დიდება, მადლობა და თვით კაპელა კი არ მოგვესმინა, მეტს ვიტყვით, თითქმის ვერც კი გავიგეთ კაპელის დაარსება. შეუმჩნევლად, ურეკლამოდ და სერიოზულად გაიზარდა ასეთი თვალსაჩინო, კულტურულ-მუსიკალური საქმე.

ხუთშაბათს, 2 ოქტომბერს, სახალხო სახლში გაიმართა პირველი კონცერტი კაპელასი.

ამ ფრიად სიმპატიურმა საქმემ გამოიწვია მეტად დიდი ინტერესი. სახალხო სახლი გავსებული იყო მსმენელებით და ბევრიც დაბრუნდა უბილეთობის გამო.

ყველა დამსწრის სახეზე რაღაც ეჭვის გამომეტყველება იყო გამოსახული: ნუ თუ მართლა ასეთი კარგია კაპელა, როგორც აქებენ, თუ ჩვენებურათ ვაზვიადებთ მის მნიშვნელობასო.

დიდის მოწიწებით ეპყრობოდა საზოგადოება, რომ მისი იმედი არ გაცრუებულიყო.

სრულ რვა საათზე აიხადა ფარდა და სცენაზე მწყობრად მდგომი კაპელა გამოჩნდა.

კონცერტს დაერთო წინასიტყვაობა კოოპერ. კავშირის წარმომადგენელ შ. გოგებაშვილისა, რომლის დედა აზრად ჩაითვლება ის, რომ კოოპ. კავშ. მიზანია ხალხს მიაწოდოს არა მარტო მატერიალური სარგებლობა, დააკმაყოფილოს მისი ფიზიკური არსებობა, არამედ შეიტანოს ხალხში სულიერი, კულტურული საზრდო, დააკმაყოფილოს ამნაირი მოთხოვნილებანიც და ამით აღავსოს ჩვენი ხალხი, გააფაქიზოს მისი ცხოვრება.

კაპელამ დაიწყო სიმღერა და პირველ ნომრიდანვე მიიპყრო სერიოზული ყურადღება, რომელიც თანდათან იზრდებოდა მსმენელებში და ბოლოს აღტაცების აპოთეოზად გადაიქცა.

ეხლა დანამდვილებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ქართ. სამუსიკო საზოგადოება ნამდვილ გზას დაადგა და ის ერთად ერთი აკვანია, რომელიც დაარწევს და აღზრდის ესთეტიურად ჩვენ ერს.

ვაშა კოოპერატივთა კავშირს, რომელიც ცხოვრებაში ამტკიცებს ასეთ მნიშვნელოვან კულტურულ საქმეს.

ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ მხოლოდ კაპელას დაარსებას, სასიამოვნოა თუ რა კარგი სოლიდარული ძალა დამყარდა ჩვენ ცხოვრებაში, მაგრამ ამას გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს მის შინაარსს და საქმეს, თუ ჩვენი მესვეურნი როგორ გაუძღვებიან ამ დიად დაწყებულ კაპელას.

მიულოცავთ ქართ. სამუსიკო საზ—ბას და კოოპ. კავშირს პირველ შემკულ დებიუტის გამარჯვებას.

მგზავრი.

## წერ. რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება მომეცით მივმართო დიომიდე გობრონიძეს შემდეგით:

რადგანაც ჩვენ შორის დავა არის ატეხილი და რომ მას ერთხელ და სამუდამოთ მოეღოს ბოლო, მე გიწვევთ თქვენ სამედიატორო მეზობლურ სასამართლოში.

წაგებულმა მხარემ გადიხადოს 500 მ. გაზეთ „ერთობის“ სასარგებლოდ. შემომედიატორეებად ვასახელებ ჩემის მხრით შემდეგ პირებს: არსენ ოჩიშვილს, ვასილ რობაქიძეს, ივანე ახალაძეს და ბესარიონ გვაძაბიას. შედეგს მოვათავსებთ გაზეთ „ერთობა“ში.

ნიკოლოზ მითაიშვილი.

მოქალაქე რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ სევასტი ვასილის ძე წულაიას, რომელმაც გადმოგვეცა სოფ. გორა ბერეჟოულის უფასო წიგნთ საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ 1005 მანეთი, შეგროვილი თფილისის სახალხო გვარდიის პირველ საველე ბატარეის ამხანაგებში.

პატივისცემით გამგეობა.


## განცხადებანი

იყიდება
**ბუხალტერია**
ს. ტარუაშვილისა
წერა კითხვისა და „განათლების“ მაღაზიაში. იბეჭდება ხ. გლახაშვილის ნაწერების პირველი ტომი.

დოქტორი რომედიუს ვაკკარი.
სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი ავათმყობთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა სამხედრო საავათმყოფოში ნიზერეჟნაია ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2603—2—1)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე.
ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავათმყოფობანი ელექტრო სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვის პრ.) № 111 ტელ. 13—42.

კბილის ექიმი
ი. მ. მიშაური-იხაკიანი
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

დოქტორი ი. ე. გამბურგერი
სისხლის გამოკვლევა სიფილისიანზე (Wasserman'-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიაზე, ტიფზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახვა დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ. საღ. 5—7 საათ. დიფტერიტზე მიღება დილის 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № 12 ტელეფონი 16—82.

ექიმი შ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“. ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამართი: ოლღას ქუჩა № 33

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და საბებიო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი ი. ჩიჯავაძის ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული **ლაბორატორია**
იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროხეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღას) ქუჩა. გაბაევის შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი ბესარიონ ჯაპოვი
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

ექიმი ა. ი. ქუთათელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი გ. მ. მუხაძე.
დაბრუნდა და განაახლა ქირურგიული ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე—მიხეილის საავადმყოფოს გვერდით. ავადმყოფებს მიიღებს საღამოთი 5—6 საათ. კვირა და უქმე დღეების გარდა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ლ. ა. ს[illegible]იძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87 [illegible]

[illegible]
იღებს შინაგან და [illegible] ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—7 ს-დის. ბინა: მიხეილის პროსპ. № 64. ტელეფონი 14—60.

დოქტორი მ. გოლდშტეინი.
თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და საღ. 4—7 დე ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი ქალი [illegible]-ბაბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი იოსებ რაფიელის ძე ცინცაძე
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი მ. შ. [illegible]
ყელისა და სალოსტაქრო ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ბ. [illegible]
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასიათვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სალენოიდი და არსეველი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი ა. დ. [illegible]
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
დებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

**სახელმწიფო თეატრი**
(ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით)
კვირას 5 ოქტომბერს ქ-ნ რისსის მონაწილეობით **ჟიდოვკა** მონაწილეობენ: რისსი, ვაშემირსკაია, მარკოვი, ისეცკი, პოლიაევი. ორშაბათს 6 ოქტომბერს „ევგენი ონეგინი“, სამშაბათს 7 ოქტომბერს „დემონი“, ოთხშაბათს 8 ოქტომბერს „აბესალომ და ეთერი“ (ნ. 1—1)

**საჭიროა მასწავლებლები**
მათემატიკისა, სიტყვიერების და უცხო ენების, მარტვილის ვაჟთა გიმნაზიაში. მასწავლებელთ მიეცემათ გაორკეცებული ჯამაგირი. მსურველებმა მიმართონ საშუალო სკოლების მთავარ გამგეს. განათლების სამინისტროში.
2610—3—1)

მზადდება ყოველდღე კარაქით ახალი და საუკეთესო სანოვაგით
**ოჯახური სადილი**
გამოცდილი კულინარის ზედამხედველობით, ევროპიული და იმერული, როგორც სახსნილო, ისე სამარხვო.
**ორი არჩივი—წვნიანი და შემწვარი 18 მან.**
მისამართი: სასამართლოს და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში № 38 ეზოში. (2608 1—1)

**სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა საყურადღებოთ**
დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ოქმების რედაქცია მოაგონებს ყველა სახელმწიფო, საერობო და ქალაქთა დაწესებულებებს დაუჩქარონ ხელის მოწერა დამფუძნებელი კრების **სტენოგრაფიულ ოქმებზე**
მისამართი: თფილისი, სასახლე, ოთახი 29, ტელ. 6—18, სტენოგრაფიულ ოქმების რედაქციას.
(ნ. 10—1)

**გაიხსნა აბრეშუმით ნაქარგი მხატვრული სურათების გამოფენა**
მხატვარ კაჩენისა, დილის 10 ს: საღამოს 6 საათამდე. პლეხანოვის პრ. № 59, მიხეილის საავათმყოფოს პირდაპირ. (2601—1—1)

ოთხშაბათს, ამა წლის 8 ოქტომბერს (ახ. სტ.) დილის 10 საათზე დანიშნულია
ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის
**რწმუნებულთა ჩვეულებრივი წლიური კრება**
შემდეგი კითხვების განსახილველათ:
1) განხილვა და დამტკიცება 1918 წლის ანგარიშისა,
2) მიმოხილვა კავშირის საქმიანობისა 1919 წ.,
3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა,
4) განხილვა და დამტკიცება 1919 წ. ხარჯთ აღრიცხვისა.
5) ცვლილებანი და დამატებანი კავშირის წესდებაში,
6) გეგმა კავშირის სამეურნეო საქმიანობისა,
7) არჩევნები კავშირის გამგეობის წევრებისა იმათ ნაცვლად, რომლებიც უნდა გამოვიდნენ გამგეობიდან, თანახმად წესდების მე 50 §-სა,
8) სარევიზიო კომისიის არჩევნები,
9) დელეგაციის გაგზავნა მომავალ საერთაშორისო კოოპერატიულ კონფერენციაზე,
10) მიმდინარე საქმეები.

თანახმად წესდების 29 §, ყოველ მოკავშირე კოოპერატივს აქვს უფლება გამოგზავნოს ყრილობაზე ორი რწმუნებული. სამს რწმუნებულს აგზავნის ის კოოპერატივი, რომლის წლიური ნავაჭრი კავშირში ან კავშირის შემწეობით აღემატება ღირებულებით 25 ათასი მანეთს; ხოლო ოთხს, თუ ნავაჭრის ჯამი აღემატება 50 ათასს. საერთო რიცხვი კი კოოპერატივის რწმუნებულთა არ უნდა აღემატებოდეს ოთხს.

აცხადებს რა ზემოხსენებულს, ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა, სთხოვს მოკავშირე კოოპერატივებს დროზედ აირჩიონ და გამოგზავნონ ყრილობაზე თავისი რწმუნებულები.

დაწვრილებითი ცნობებს ყრილობის შესახებ ჩამოსულნი რწმუნებულნი მიიღებენ ამიერ კავკასიისკოოპერატივთა კავშირი. (გლდანის გაყვალზე № 15, საკუთარი სახლი)

(4—3) ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა.